საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი-კვირა, 11-14 თებერვალი. 2021 წ. №29-30 (9148-9149) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

პოლიტიკოსებს იმდენი წვლილი არ მიუძღვით საქართველოს დაქცევაში, რამდენიც ჟურნალისტებს!

რატომ ღმერთი არ გაიცინებს?! ③

ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესი!



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მსოფლიოში აღიარებული ლინგვისტი, მეცნიერების ორგანიზატორი, მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, აკადემიკოსი

თამაზ გამყრელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე ⑧

5 გვ. **7 გვ.**

საქართველოს მეცნიერება მეცნიერებათა აკადემიის 80 წლისთავზე

ჰუბლიკაციის დასასრული

უკრაინის საგარეო უწყება ② მისეულ საკაშვილს მკაცრად აფრთხილებს!

საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ნაციონალური ატლასების კომისია ტყუის და მელაშვილი ამბობს მართალს?! ④

იტალიის სახელმწიფო პოლიცია საქართველოს მადლობას უხდის

ITALIIS სახელმწიფო პოლიცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მეკავშირე ოფიცერს დანაშაულებრივი დაჯგუფების გამოვლენაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის.

„საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის არაჩვეულებრივი მუშაობისა და საქართველოს მოკავშირე ოფიცრის ჩართულობის წყალობით, შესაძლებელი გახდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება“, — ნათქვამია იტალიის სახელმწიფო პოლიციის განცხადებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში იტალიაში დანაშაულებრივი ჯგუფების წევრები — საქართველოს მოქალაქეები დააკავეს.

მირიან ყარაულაშვილი:

როგორ დასაჯა პარტიამ დავით გარეჯის გადამრჩენელი მედეა მეზვრიშვილი

უკრაინის საგარეო უწყება მიხეილ სააკაშვილს მკაცრად აფრთხილებს!

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო საჯარო პირებს აფრთხილებს, თავი შეიკავონ საქართველოში დაუმორჩილებლობის აქციებისკენ მოწოდებებისგან, — ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის კომენტარშია ნათქვამი, რომელიც უკრაინის საგარეო-პოლიტიკური უწყების მისამართით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, უკრაინის რეფორმების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ სააკშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით გააკეთა. უკრაინის საგარეო უწყება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავსი განცხადებები შესაძლოა, სტრატეგიული პარტნიორის შიდა საქმეებში ჩარევად იყოს შეფასებული, რასაც უკრაინა კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

„უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ აფრთხილებს უკრაინის მოქალაქეებს, რომლებიც საჯარო პირები არიან, თავი შეიკავონ მეგობარ სახელმწიფო საქართველოში დაუმორჩლებლობის აქციებისკენ მოწოდებებისგან. ასეთი განცხადებები შესაძლოა, შეფასებული იყოს როგორც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის შიდა საქმეებში ჩარევა. უკრაინის სახელმწიფოს არასდროს მიუმართავს, არც მომავალში მიმართავს ასეთ ჩარევებს და კატეგორიულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო არენაზე ამგვარ ქმედებებს.

საქართველოში უკრაინის ელჩის იგორ დოლგოვის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს არანაირი მტკიცებულებები არ გააჩნია, გარდა ბრალმდებლის ემოციების. უკრაინული დიპლომატია არ მოცდება მათ გამო და გააგრძელებს რუსული ჰიბრიდული აგრესიისთვის ეფექტიანად წინააღმდეგობის გაწევას, უკრაინის მხარდასაჭერად მსოფლიოს მობილიზებას, უკრაინელი ექსპორტიორებისთვის ახალი ბაზრების გახსნას და საზღვარგარეთ თანამემამულეების უფლებების წარმატებით დაცვას“.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ასევე ეხმაურება საქართველოში საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებული უკრაინის ორი მოქალაქის საქმეს.

„ერთ-ერთი ბოლო რეზონანსული შემთხვევა, როდესაც უკრაინელებს საზღვარგარეთ დასჭირდათ თავიანთი სახელმწიფოს დახმარება, იყო საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების მიერ ხომალდის დაკავება, რომლის ბორტზეც იმყოფებოდა უკრაინის ორი მოქალაქე — ვლადიმირ დიაჩენკო და იური ხომიჩი, ასევე საქართველოს მოქალაქე მიხაილ ბატურინი. ამ საქმეში უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისამართით უმოქმედობის ბრალდებები უსაფუძვლოა და საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს.

ეს საკითხი თბილისში უკრაინის საელჩოს მუშაობის ძირითად პრიორიტეტებს შორის არის. მათ გასათავისუფლებლად საელჩომ ჩაატარა მრავალი შეხვედრა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და პროკურატურის ხელმძღვანელობასთან. ჩვენი საელჩოს კონსული დაეხმარა დაკავებული უკრაინელების ახლობლებთან დაკავშირების უზრუნველყოფაში. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საქართველოში უკრაინის საელჩომ გაგზავნეს შესაბამისი ნოტები და წარადგინეს შუამდგომლობა, რომ თავდებად დაუდგნენ უკრაინის დაკავებულ მოქალაქეებს.

უკრაინელი დიპლომატები მეზღვაურების გასათავისუფლებლად ყველაფერს აკეთებენ, რაც შესაძლებელია და შეუძლებელია, რადგან უკრაინული სახელმწიფო არასდროს ტოვებს თავის მოქალაქეებს ბედის ანაბარა. ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ საქართველოს ხელისუფლებას ამ საქმის სწრაფი და მიუკერძოებელი განხილვისკენ, აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა და უკრაინის მოქალაქეების გათავისუფლებისკენ“, — ნათქვამია უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარში.

ირაკლი ქადაგიშვილი:
მიხეილ სააკაშვილი — პოლიტიკური ბაცილა

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, გადაადგილებაზე შეზღუდვის მრავალჯერადად დარღვევის გამო, კანონის აღსრულებას შესაბამისი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ.

ქადაგიშვილის თქმით, დარღვევები განპირობებულია იმით, რომ გარკვეული პარტიები პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ყველაფერზე მიდიან. ირაკლი ქადაგიშვილის განმარტებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში მოსვლის გზად მხოლოდ რევოლუცია მიაჩნია.

„კანონის აღსრულებას შესაბამისი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ. ეს ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებმაც მათი არსებობის განმავლობაში არჩევნების გზით ვერასდროს მიიღეს ხელისუფლება, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში რევოლუციით მოვიდა და არა — არჩევნებით, თორემ, 2003 წელს არჩევნებში სულ სხვა პროცენტი ჰქონდა მიღებული. ამის შემდეგაც მათ მიერ ჩატარებული არჩევნები იყო ისეთი, რომელსაც ლეგიტიმაციის დაბალი ხარისხი ჰქონდა. დამარცხდნენ 2012 წლის და შემდგომ არჩევნებშიც. ვერც ამ არჩევნებში გაიმარჯვეს და ერთადერთი გზა, რაც მათ სწორ გზად მიაჩნიათ, ეს არის რევოლუციის გზა. რევოლუცია, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო ინსტიტუტების ტოტალურ ნგრევაში, მოსახლეობის დაპირისპირებასა და ქყვეყნის არევაში. კოვიდრეგულაციების დარღვევასთან რაცაა დაკავშირებული, სწორედ აქ არის ამ ყველაფრის წყარო“, — განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

ქადაგიშვილის განმარტებით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტანდარტია, რომ კოვიდრეგულაციები უნდა დავიცვათ.

„ანუ, ისინი ყველაფერს არღვევენ, რათა რამენაირად თავიანთი პოლიტიკური მიზანი მიღწეული იყოს სრულიად არაკანონიერი გზით. ვფიქრობ, დროულად არის ღონისძიებები გასატარებელი, რომ კოვიდის პარალელური ბაცილა, პოლიტიკური კოვიდი, რომელსაც ავრცელებენ, დროზე აღიკვეთოს, რადგან არ არის კარგი, როდესაც მოქალაქეებს კანონის დარღვევისკენ თვითონ პოლიტიკოსები მოუწოდებენ“, — აღნიშნა ირაკლი ქადაგიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

კახა კუჭავა:
სააკაშვილი ახლა უკრაინელთა ლანძღვა-გინებაზე გადავიდა

კახა კუჭავას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან შეურაცხმყოფელი განცხადებები გაკვირი არაა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ამის შესახებ „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა, რითაც ექსპრეზიდენტის განცხადებას გამოეხმაურა.

„სამწუხაროდ, ჩვენი ექსპრეზიდენტისგან არ გვიკვირს შეურაცხმყოფელი განცხადებები. ადრე თუ იყო საქართველოს მიმართულებით, ახლა გადავიდა უკრაინულ ლანძღვა-გინებაზე, თან ელჩის მიმართ, რომელიც წლებია, უკვე საქართველოში არის და საკმაოდ აქტიურია თანამშრომლობის კუთხით. ელჩის მხრიდან არ იყო მოწონებული ის მოწოდებები, რაც საქართველოს მიმართ განახორციელა უკრაინის მოქალაქემ და შესაბამისი რეაგირება გააკეთა“, — განაცხადა კახა კუჭავამ.

ბიზნესმენები ნაპრეზიდენტალის აგრესიულ მოწოდებას გმობენ!

ბიზნეს სექტორი მიხეილ სააკაშვილის დაუმორჩილებლობისკენ მოწოდებას ეხმაურება. ბიზნესმენების აზრით, ის, რისკენაც ყოფილი პრეზიდენტი უკრაინიდან მოსახლეობას მოუწოდებს საქართველოში ეკონომიკის კრიზისს გამოიწვევს. არასტაბილურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს შექმნის, ინვესტორებს დააფრთხობს და ბიზნესს მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს. სფეროს წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ გამოხატვის უფლება ყველას აქვს, მაგრამ მნიშვნელოვანია სწორი ფორმის შერჩევა.

ჩვენი ეკონომიკისთვის დღეს ეს არის მიუღებელი უბრალოდ, იმიტომ რომ შეიძლება დააზიანოს და ავნოს ის სწორად გადადგმული, სწორად მართული ნაბიჯები პანდემიის დროს, ის კრიზისული მართვის უნარები, რომელიც გამოავლინა ჩვენი ქვეყნის მთავრობამ, მედიკოსებმა. ეს იქნება ამის განვითარების შენელება და პირიქით, ეს იქნება ქვევით სხვლა, ეს იქნება იმ ვერაგი ვირუსის გავრცელების საშუალება ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ეს იქნება ეკონომიკისთვის ძალიან დიდი ზიანის მიმყენებელი“, — ფიქრობს ზურა ჩხაიძე — KWT-ჯგუფის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი.

ამავე აზრზეა „ჯეოჰოსპიტალის“ ქსელის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი. ნინო კობახიძე საკაშვილის განცხადებას აგრესიულს უწოდებს.

„ეს არის სუფთა აგრესიული მოწოდება, რომ ხელი შეუშალოს ბიზნესს, ხელი შეუშალოს ადამიანებს. არც მიკვირს, იმიტომ რომ ყოფილი პრეზიდენტის მიერ არაერთი მარგინალური და აგრესიული განცხადებები, არის ხოლმე. ალბათ ერთადერთი მხოლოდ ის დარჩენია, რომ დაუმორჩილებლობა იყოს მთავარი მოტივი მისი პოლიტიკური ველის. რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. ბიზნესს ხელს შეუშლის, გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი დესტაბილიზაცია, არეულობა, არაცივილური ფორმით პროტესტის გამოხატვა პირველ რიგში, ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკას ძალიან აზიანებს“, — მიაჩნია ნინო კობახიძეს.

ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი:
გავაგრძელებთ საქართველოს დახმარებას მისი ეკონომიკური აღდგენისთვის

გავაგრძელებთ საქართველოს დახმარებას მისი ეკონომიკური აღდგენისთვის და რეფორმების დღის წესრიგის წინ წასაწევად, იმისთვის, რომ მოხდეს ასოცირების შესახებ შეთანხმების სრულად განხორციელება და მისგან სარგებელის მიღება, — ამის შესახებ ევროკომისარმა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში, ოლივერ ვარჰეიმ განაცხადა.

„ევროკავშირი, პანდემიის დასაწყისიდან, ქართველ ხალხს გვერდში ედგა. გასულ წელს საქართველოს დასახმარებლად 183 მილიონი ევროს გრანტების სახით შეგრავდა კორონავირუსის პანდემიის დასაძლევად. გარდა ამისა, ევროკავშირმა საქართველოსთვის 150 მილიონი ევროს ოდენობის მაკროფინანსური დახმარება გამოყო. გავაგრძელებთ საქართველოს დახმარებას მისი ეკონომიკური აღდგენისთვის და რეფორმების დღის წესრიგის წინ წასაწევად, იმისთვის, რომ მოხდეს ასოცირების შესახებ შეთანხმების სრულად განხორციელება და მისგან სარგებელის მიღება. ამ კონტექსტში, კავშირებისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება გადამწყვეტ როლს ასრულებს და მნიშვნელოვანია ინვესტიციების გაზრდისათვის“, — აცხადებს ოლივერ ვარჰეი.

◎ ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესი!

რატომ ღმერთი არ გაიცინებს?!

მოდით, პირდაპირ ვთქვათ: ალბათ, პოლიტიკოსებს იმდენი წვლილი არ მიუძღვით საქართველოს დაძცევაში, რამდენიც ჟურნალისტებს! სიკვდილია ჩემთვის ამის თქმა და აღიარება, მაგრამ ასეა.

დღესაც ვხედავთ, როგორი გაშმაგებით ცდილობენ ქვეყნის არევას, ვითომცდა, დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების სახელით.

და ვინ არიან ესენი — დემოკრატიისთვის მებრძოლნი?!

№1
ინგა გრიგოლია

რატომ ღმერთი არ გაიცინებს?!

წუხელ რამდენჯერმე იკითხა: „იქნება თეა წულუკიანი ყველას მინისტრი?“

საუბედუროდ, სტუდიაში არავინ იჯდა ისეთი, კითხვას რომ შეუბრუნებდა: „თქვენ ხართ ყველას ჟურნალისტი?!“

არადა, წულუკიანს, პოლიტიკური თანამდებობების პირს, მმართველი პარტიის პოლიტსაბჭოს წევრს, ისე არ მოეთხოვება „ყველას მინისტრობა“, როგორც გრიგოლიას (და ნებისმიერ ჟურნალისტს) — „ყველას ჟურნალისტობა!“

განა არ იცის, რამდენი ლანძღავს და რამდენს საერთოდ ჟურნალისტად არც მიაჩნია?!

ეს რომ იცის, ამის გამო, კიდევ უფრო მეტადაა გაავებული.

№2
გიორგი თარგამაძე

მას შემდეგ, რაც რეზო ამაშუკელმა „ჰალსტუხიანი ხვლიკი“ უწოდა, ჰალსტუხს აღარ იკეთებს.

იმავე პოეტმა უწოდა მის არხს „ღალატის ფორმულა“, მე კი მის გადაცემას — „მედროვეობა“.

ეს მართლაც ღალატისა და მედროვეობის ფორმულა, ვინც სააკაშვილის ხელისუფლებამ პირდაპირ ეთერში დაარბია, დღეს ურცხვად აცხადებს, ასეთი მძიმე პერიოდი ქართულ მედიას არასოდეს ჰქონიაო(?!).

რატომ ღმერთი არ გაიცინებს?!

№3
დიანა ტრაპაიძე

ეს ის დიანაა, თამაზ ჭილაძესთან ინტერვიუზე მისულმა, ოთარ ჭილაძეს რომ ჰკითხა, — თქვენც წერთო?!

და დღეს როგორ ცდილობს, დემოკრატიისთვის გაშმაგებულ ბრძოლაში“, გრიგოლიასაც კი გადაასწროს?!

რატომ ღმერთი არ გაიცინებს?!

№4
ნოდარ მელაძე

გრიგოლიას ყვირილი (ბევრი ტატყანს რომ უწოდებს) დღეს ისეთ ანაქრონიზმად არ აღიქმება, როგორც მელაძის მანერა, რომელიც ქართული კინოს ყველაზე ყალბ და პათეტიკურ პერიოდს მოგვაგონებს: „ნუ დავით, ნუ გამახსენებ ლამისყანას“...

მის ფეიკებზე აღარას ვიტყვი.

რაც მთავარია, დღეს, თურმე, „დემოკრატიისათვის იბრძვის“ მელაძე — სააკაშვილის დროინდელი ტელევიზიის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური სახე?!

რატომ ღმერთი არ გაიცინებს?!

* * *

უმბერტო ეკოს რომანში ერთი პერსონაჟი მეორეს ეკითხება, თუ იცი, იესო რატომ არასოდეს იცინოდაო?

პასუხი ასეთია: ამაზე საუკუნეებია, კაცობრიობა თავს იმტვრევს და ვერ აუხსნიაო.

და ჩვენ გვინდა, რომ იესომ ამათ უღირსობაზე გაიცინოს?!

არ გაიცინებს!

* * *

და კიდევ უფრო მთავარი:

დღეს საქართველოში აღვირახსნილი მედიის დიქტატურაა.

ღირსეული ჟურნალისტები კი ჩრდილში არიან — უმუშევარნი, დაჩაგრულნი, დაბეჩავებულნი...

ეს — იმ დროს, როცა ბუკა პეტრიაშვილიც კი ჟურნალისტობს. და ვიდრე ასეა, საქართველოს სიმშვიდე არ უწერია...

გვარამიაზე, გაბუნიაზე, კვესიტაძეზე უკვე ლაპარაკიც არ ღირს: **გასულნი არიან „მომსახურების ზონიდან“. მათზე უფალს კი არა, ჩვენც აღარ გვეცინება.**

იოსებ ჟუმბურიძე

წლეულს თბილისში მასშტაბური პროექტები განხორციელდება!

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში დაწესებული რეგულაციების დაცვის მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა.

მისი თქმით, ამ დროისთვის არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში პირბადის გარეშე ასვლა 524-მა მგზავრმა სცადა, 3 790 მგზავრს კი პირბადის სწორად გამოყენების გაფრთხილება მიეცა. თბილისის მერმა მოსახლეობას საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებული რეგულაციების მაქსიმალურად დაცვისკენ მოუწოდა.

* * *

კახა კალაძემ ყურადღება რეკრეაციული სივრცეების მნიშვნელობაზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ თემქის ხევის ტერიტორიაზე საქალაქო პარკის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

„პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე სკეიტპარკი, სარბენი, სასეირნო და ველობილიკები, ასევე, სპორტული და საბავშვო მოედნები განთავსდება. ტერიტორიაზე მოეწყობა კაფე, მედიათეკა, ამფითეატრი, ძაღლების სასეირნო სივრცე და ურბანული მებაღეობის ზონა. ამასთან, პარკში მოეწყობა ორი ხელოვნური ტბა, რომელსაც ერთმანეთთან მდინარე დააკავშირებს. ასევე, განათების, სარწყავი და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, ამ ეტაპზე, დაჭაობებული გრუნტის გამოცვლა მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულება კი 2022 წლის დეკემბრისთვის იგეგმება.

კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცის მოწყობა სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყვარჩელის ქუჩაზე იგეგმება. თბილისის მერმა სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის არასწორ ურბანულ განვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა განაშენიანდეს ქალაქი.

„სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია მგონი ყველამ კარგად ვიცით. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა განავითარო ქალაქი. ეს არის მაგალითი, როგორ არ უნდა მოხდეს განაშენიანება. ჩვენ ვხედავთ ურბანულ გენოციდს. მგონი ყველა ვთანხმდებით, რომ არავის მოგვწონს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანება. შთაბეჭდილება მრჩება, რომ როგორც ნებართვის გამცემი, ისე ნებართვის მიმღები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ და მაღალ კორპუსს ჩადგამდა ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე. არანაირად არ არის განსაზღვრული ურბანულად, თუ როგორ უნდა იყოს დაგეგმარებული გზები, რეკრეაციულ სივრცეებზე საერთოდ ზედმეტია საუბარი.“

მისივე თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე სკვერი ე.წ. ბარაკების ადგილას მოეწყობა, რომელთა დემონტაჟი უკვე დაიწყო.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ ჩუღურეთის რაიონში, ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი თბილისის მერიას კერძო კომპანიისგან საპრივატიზაციოდ, „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებული მოქალაქეების ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გადაეცა. პრივატიზაციის პირობა 18 მილიონ 400 ათასი ლარის დაფინანსების განხორციელებაა.

„ნინოშვილის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთი კომპანია „ცენტრ პოინტს“ ეკუთვნოდა, რომელსაც ოდესღაც, პირდაპირი წესით, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, ეს ქონება ერთ ლარად გადაეცა, იმისთვის, რომ საცხოვრებელი კორპუსები აეშენებინათ. როგორც მოგეხსენებათ, „ცენტრ პოინტი“ არის ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია, რომელსაც ყველაზე მეტი დაზარალებული ჰყავს. საუბარია 6 000-ზე მეტ ოჯახზე, რაც სერიოზული პრობლემაა. ეს ადამიანები წლების განმავლობაში, თავიანთ საცხოვრებელ სახლებს ელოდებიან“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, თბილისის მერიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პრივატიზაცია მიწის ნაკვეთის რეკრეაციული სტატუსით განხორციელებულიყო.

„გარდა ამისა, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, რომ ქონების პრივატიზაცია ერთ ლარად მოხდა. პრივატიზაციის პირობა „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებული ოჯახების ფართებით დაკმაყოფილების მიზნით, 18 მილიონ 400 ათასი ლარის დაფინანსების განხორციელებაა. როგორც იცით, თბილისის მერიას დაწყებული აქვს კომპანიის მიერ დაზარალებული ოჯახების ფართებით დაკმაყოფილების პროექტი, რომლის ფარგლებშიც, ბინებით ყველა დაზარალებული დაკმაყოფილდება“.

რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომლებიც ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობაში ცხოვრობენ, კახა კალაძის განცხადებით, მუნიციპალიტეტის მერიამ მათ ქირით უზრუნველყოფა შესთავაზა.

* * *

კახა კალაძემ თბილისის მეტროს განახლების აუცილებლობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მეტროსადგურ „გოცირიძის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები სამ თვეში დასრულდება. სადგური მიმდინარე სამუშაოების გამო დროებით დაკეტილია.

„მეტროსადგურ „გოცირიძის“ რეაბილიტაციის პროექტი აგვისტოში დაიწყო. ამ ეტაპზე, ვესტიბიულს კაპიტალურად არემონტებენ და ბაქნის გადახურვის სამუშაოები ხორციელდება. ასევე, მიმდინარეობს სამხარაულის ექსპერტიზა ბაქნის მდგრადობაზე და შემდგომი ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, გადაიდგმება შემდგომი ნაბიჯები და სამუშაოებს სავარაუდოდ, სამი თვე დასჭირდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამუშაოების გამო, რუსთაველის გამზირზე დროებითი სამშენებლო ღობე მოეწყობა.

„იცით, რომ რუსთაველის მხარეს არის ორი ტროტუარი. ზედა ნაწილში ღობის განთავსება მოგვიწევს, რათა უსაფრთხოება იყოს დაცული. ღობის განთავსება განპირობებულია იმით, რომ ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დაიწყოს“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

პროექტის ღირებულება დაახლოებით 34 მლნ ლარია და ის 2023 წელს დასრულდება.

* * *

გარდა ამისა, **თბილისის მერმა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემაზეც გაამახვილა ყურადღება. აღინიშნა, რომ ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა დედაქალაქის განსაზღვრულ არეალებში დღეიდან კვლავ ამოქმედდა და ავტომფლობელებს საათობრივი საფასურის გადახდა უწინდებურად მოუწევთ.**

დედაქალაქის მერმა ვაკის პარკის რეაბილიტაციის პროექტზეც ისაუბრა. მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ვაკის პარკი სრულად დაიკეტა, თუმცა პარკში გამოიყოფა ტერიტორია, სადაც შინაური ცხოველების გასეირნება იქნება შესაძლებელი. ვაკის პარკის სრულმასშტაბიან სარეაბილიტაციო სამუშაოებს თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ახორციელებს. პროექტის დასრულება 2021 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

მირიან ყარაულაშვილი:

როგორ დასაჯა პარტიამ დავით გარეჯის გადამრჩენელი მედეა მეზვრიშვილი

მარჯვნიდან პირველი – ბატონი ილო (ილუშა) ქვლივიძე , დავით გარეჯის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის (1975-1990წ.წ.) დირექტორი; მარჯვნიდან მეორე- ქალბატონი მედეა მეზვრიშვილი.

„მცირე, არასრული რეტროსპექტივა "დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის", „დავით გარეჯას" და სოფელ უდაბნოს თემაზე. შენიშვნა: ეს ესსე დავწერე აქვე ერთი ამოსუნთქვითა და გახსენებით, ყოველგვარი ლიტერატურის და დამხმარე მასალების , რედაქტირებისა და კორექტურის გარეშე, ამიტომ შესაძლოა, დაშვებული იყოს მცირე უზუსტობები და შეცდომები (მხოლოდ, არა ფაქტობრივი), რისთვისაც წინასწარ ვიხდი ბოდიშს", – წერს ფეისბუქზე **მირიან ყარაულაშვილი** და ისტორიული ფაქტების გახსენების პარალელურად ისტორიულ ფოტოს აქვეყნებს.

„1975 წელს, მაისის ბოლოს ჩატარდა პირველად მცირე მასშტაბით „გარეჯობა" თანამდებობაზე სულ ახლად დანიშნული საქ. კომუნისტური პარტიის საგარეჯოს რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის ინიციატივით; მომავალ, 1976 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო საგარეჯოს რაიკომის წინადადება და საქ.კპ ცკ-ს გადაწყვეტილებით დაარსდა სახალხო დღესასწაული „გარეჯობა", რომელიც აღინიშნებოდა ყოველი წლის მაისის ბოლო შაბათ-კვირას, მთელი ქვეყნის რესურსების გამოყენებით.

1981 წლიდან გარეჯის კომპლექსში მედეა მეზვრიშვილის უშუალო ინიციატივით აღადგინეს რამდენიმე კელია და საცხოვრებელი სენაკი და უწმინდესისა და უნეტარესის ხელდასხმითა და ლოცვა-კურთხევით გარეჯში დაყუდდა ბერადაღკვეცილი ირაკლი(მახარაძე), დღეს ალავერდელი ამბა. სოფელ უდაბნოსა და გარეჯის სამონასტრო კომპლექსამდე საავტომობილო გზის გაყვანა 1982 წელს დასრულდა, ხოლო წყალსადენი 1984 წელს ამოქმედდა; ამ პერიოდში ისევ შევარდნაძე იყო საქ.კპ ცკ-ს პირველი მდივანი (1985 წლის ივლისამდე).

1986 წელს საქ. ცკ-ს ახლად დანიშნულმა პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა თანამდებობიდან გაანთავისუფლა საქ. კპ საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მედეა მეზვრიშვილი („რატომ კარგი აგიგია!..") და იმ დღიდან გარეჯსა და უდაბნოსკენ ხელმძღვანელობისგან არავის აღარ გაუხედავს და მივიწყებას მიეცა იქაური პრობლემებიც. მხოლოდ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ სტუდენტურმა მოძრაობებმა გადაიტანეს ყურადღება პრობლემაზე – გარეჯის კომპლექსის სიახლოვიდან საბჭოთა არმიის სამხედრო პილიგონის გადატანის მოთხოვნით, რომელიც მანამდეც არაერთხელ დამდგარა დღის წესრიგში.

1990 წელს საქართველოში ჩამოვიდა პირადად სსრკ მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დ. იაზოვი და მოინახულა გარეჯი და სამხედრო პოლიგონი. იმ საღამოსვე გასცა განკარგულება პოლიგონზე სასწავლო სროლების შეწყვეტის შესახებ, ხოლო მოსკოვში, სამუშაო ადგილზე დაბრუნებისთანავე გამოსცა ბრძანება პოლიგონის გაუქმების თაობაზე (თუმცა, აქვე უნდა დავამატო და განვმარტო, რომ როგორც ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ ამ ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ, მის მიერ დაწერილ კომენტარში მიმითითა, იაზოვის საქართველოში ვიზიტი ყოფილა არა 1990 წელს, არამედ უფრო ადრე – 1988 წლის ადრეულ შემოდგომას. დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ნუგზარს ჩემი სტატიის წაკითხვისა და მასში ჩემს მიერ დაშვებული შეცდომის მითითებისთვის!).

1996 წელს კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილის, თელავის რაიონის გამგებლის ქალბატონი მედეა მეზვრიშვილის ინიციატივით აღდგა სახალხო ზეიმი „გარეჯობა" და განახლდა მიმდებარე დასახლებული პუნქტის (ს.უდაბნო) და სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის აღდგენა-მოწესრიგებაზე ზრუნვა, რომელიც 1990-95 წლებში პირწმინდად განადგურდა და გაიძარცვა იმ დონეზე, რომ წყალსადენის მილები ამოთხარეს და ელექტროგადაცემის ბოძებთან და ელსადენებთან ერთად ჯართში ჩააბრეს ე.წ. უცნობმა პირებმა (ამ უცნობი პირების ვინაობა ძალიან კარგად უნდა იცოდეს წესით მაშინდელმა საქართველოს პარლამენტის წევრმა, მისივე კოლეგის პარლამენტიდან და „მხედრიონიდან" საგარეჯოელი გელა გოდერძიშვილის (აწ გარდაცვლილი) სიძემ **აპაპი (კაპკო) ბობოხიძემ** – ქალიშვილის მეუღლემ, რომელიც იმ პერიოდში საგარეჯოში, სიმამრის ოჯახში გაცილებით დიდ დროს ატარებდა, ვიდრე მშობლიურ ქუთაისში).

უშუალოდ ქალბატონი მედეა მეზვრიშვილის თაოსნობითა და მეცადინეობით თანდათან გაიწმინდა დანგრეული გზები, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურის ნაწილი, გაიზარდა ყურადღება გარეჯის კომპლექსის საეკლესიო ნაწილზე, კელიებზე, სენაკებზე, სამლოცველოებზე. თუმცა მაშინდელ სახელმწიფოსა და მით უმეტეს, კახეთში ფინანსური და სხვა რესურსების სიმცირის პირობებში ამის გაკეთება ძალიან ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც კი იყო.

იმ პერიოდში, 2003 წლის ნოემბრამდე გარეჯის კომპლექსზე არანაირი სასაზღვრო ინციდენტი ან რაიმე უთანხმოება არ დაფიქსირებულა არც აზერბაიჯანის მხრიდან, არც საქართველოს მხრიდან.

1996 წელს ბერი ირაკლი (მახარაძე) უწმინდესმა აიყვანა ეპისკოპოსის ხარისხში და ჩააბარა ახმეტა-ყვარელი-გურჯაანი-ალავერდი-თელავის ეპარქია ტახტით თელავში, რომელიც მოგვიანებით კიდევ გაიყო რამდენიმე ეპარქიად და საბოლოოდ დარჩა ალავერდის ეპარქია ტახტით ალავერდში, ხოლო მეუფე აღმაღლდა ამბას ხარისხში და დღეს იწოდება ამბა ალავერდელად.

გარეჯის სამონასტრო კომპლექსში და მიმდებარე ტერიტორიაზე სახალხო დღესასწაული „გარეჯობა" ამ წლებში (1996-2003წ.წ.) ტარდებოდა ყოველ წელს მაისის ბოლო შაბათს მედეა მეზვრიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ის იყო თელავის რაიონის გამგებელი და არა საგარეჯოსი. ბოლო „გარეჯობა" ჩატარდა მისი ხელმძღვანელობით 2003 წლის მაისში.

2003 წლის ნოემბერში სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ბანდიტური დაჯგუფების შეიარაღებული ბანდიტების ბრბო შეუვარდა თელავის რაიონის გამგებელს, 73 წლის დამსახურებულ ქალბატონს მედეა მეზვრიშვილს სამუშაო კაბინეტში და მოითხოვა მისი გადადგომა თანამდებობიდან.

მედეა მეზვრიშვილი იყო პირველი, ვინც ვერ დაიცვა მაშინდელმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ნაძირალათა აღვირახსნილობისგან, რასაც შემდგომ დომინოს პრინციპით მიჰყვა მისი ხელისუფლების რღვევა და განადგურება.

მედეა მეზვრიშვილი თანამდებობიდან გადადგა 2003 წლის 20 ნოემბერს.

2009 წლის დეკემბერში ის გარდაიცვალა საგარეჯოში, ორსართულიანი ბარაკის ტიპის კომუნალური სახლის მეორე სართულზე მდებარე მისსავე ოთახ-ნახევრიან ბინაში, 79 წლის ასაკში..."



საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ნაციონალური ატლასების კომისია ტყუის და მელაშვილი ამბობს მართალს?!

„მეგობრებო, მინდა თქვენი ყურადღება მოვიხმო და გაგიზიაროთ ის, რაც ჩემი აზერბაიჯანელი მეგობრების დახმარებით ჩამივარდა ხელში (მადლობა რადას)! საქმე იმაშია, რომ 1964 წელს მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით გეოლოგიის სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადა სქელტანიანი გამოცემები, სადაც ფერადი, ილუსტრირებული რუკებით ვგებულობთ, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ყველა ტაძარი, მათ შორის ბერთუბნის მონასტერი და მიმდებარე მამულები საქართველოს კუთვნილებაა! გარდა ამისა აქვე არის რუკა, რომელიც მოამზადა მეცნიერთა ჯგუფმა და რომელზეც ნაჩვენებია ის მიწები, რომლებიც საბჭოთა კავშირის პერიოდშია გადაცემული აზერბაიჯანისთვის, მაგრამ დავით გარეჯი აქაც ხელშეუხებელია და საქართველოა!

ახლა კი ჩემი რადას ინფორმაცია:

1963 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დავალების საფუძველზე სსრ კავშირის გეოლოგიის სახელმწიფო კომიტეტმა დაიწყო მუშაობა მოკავშირე რესპუბლიკების (მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების) ატლასების შექმნა-მომზადებაზე. უშუალოდ ამ საქმეს კოორდინაციას უწევდა კარტოგრაფიისა და გეოდეზიის საკავშირო მთავარი სამმართველო. 1964 წლის მაისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის წარდგინებითა და საკავშირო გეოლოგიის სახელმწიფო კომიტეტის დასკვნის საფუძველზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ (ხრუშჩოვი, კოსიგინი) მოიწონა და გამოსაცემად დაამტკიცა საქართველოს სსრ ატლასი რუსულ ენაზე. ატლასის სარედაქციო კოლეგია – ბერძენიშვილი, ძოწენიძე, კეცხოველი, ცხაკაია, მარუაშვილი, ჯაფარიძე, აქტიურად თანამშრომლობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის, ისტორიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტებთან (კრეიტერი, კუზნეცოვი, მურატოვი,რენგარტენი, სმირნოვი, სობოლევი, გერასიმოვი, გვოზდეცკი, გრიგორიევი, მარკოვი, სოჩავა, სუკაჩოვი).

მუშაობის შედეგად დაიდო საბჭოთა სისტემის დროს მანამდე არარსებული ობიექტურობის გამომხატველი ატლასი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ნაციონალური ატლასების კომისიის დასკვნებს და რეკომენდაციებს (წყარო: სსრ კავშირის ნაციონალური ატლასების მთავარი სარედაქციო საბჭოს წინასიტყვაობა, მოსკოვი, 1964წ. გვერდი 8).

ამ ატლასიდან გამომდინარე:

1. დავით გარეჯის მონასტრებიდან არც ერთი, არასოდეს არ მდგარა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ესე იგი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა და სამონასტრო კომპლექსში შემავალი ყველა მონასტერი, ტაძარი თუ მიმდებარე ტერიტორია დღიდან მისი დაარსებისა სრულად და მოუკლებლად ეკუთვნის საქართველოს, საქართველოს მოსახლეობას და სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას (წყარო: საქართველოს სსრ ატლასი, 1964 წელი, მოსკოვი, გვერდი 267-268, რუკა 6-7).

რატომ დავწერე ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ არ შეიძლება სიმართლე იყოს ორი! სიმართლე ერთია და მინდა ვკითხო ყველას და მათ შორის ივერი მელაშვილს: ბატონო ივერი, თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ ბერძენიშვილი, ძოწენიძე, კეცხოველი, ცხაკაია, მარუაშვილი, ჯაფარიძე, კრეიტერი, კუზნეცოვი, მურატოვი, რენგარტენი, სმირნოვი, სობოლევი, გერასიმოვი, გვოზდეცკი, გრიგორიევი, მარკოვი, სოჩავა, სუკაჩოვი სტყუიან და თქვენ ამბობთ მართალს?

საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ნაციონალური ატლასების კომისია ტყუის და თქვენ ამბობთ მართალს?

იქნებ ასეა და გვითხარით!"

ნინი ჟელიძე

ეროვნული აკადემია – თავად დიდი აკადემიკოსი

გიორგი კვესიტაძე,
აკადემიკოსი

რევინ მეტრეველი,
აკადემიკოსი


მარიამ ლორთქიფანიძე

მზექალა შანიძე

გიორგი ჯიბლაძე

განწყობის თეორიის, ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და პედაგოგიკური ფსიქოლოგიის, არაცნობიერი განწყობის ფენომენების კვლევის საერთაშორისოდ აღიარებულ ცენტრად ჩამოყალიბდა დ. უზნაძის ინიციატივით შექმნილი ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. ფსიქოლოგიის პრობლემების კვლევას მნიშვნელოვანი ამაგი დასდეს აკადემიკოსებმა **რ. ნათაძემ, ა. ფრანგიშვილმა, შ. ნადირაშვილმა** და მათმა მოწაფეებმა. სხვადასხვა მიმართულებით კვლევა წარმატებით გრძელდება დღესაც (აკადემიის წევრ-კორესპონდენტები **ი. იმედაძე, დ. ჩარკვიანი**).

ფილოსოფიის ინსტიტუტის საკვლევ თემატიკაში იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართული ფილოსოფიის, არეოპაგიტიკის, ქართული (აღმოსავლური) რენესანსის პრობლემების კვლევას, რომლის შედეგები ფუნდამენტური ნაშრომებით აღინიშნა. მოგვიანებით ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ფილოსოფიური ანთროპოლოგიის – ადამიანის, კულტურისა და ღირებულებების კვლევაც იქცა (აკადემიკოსები **შ. ნუცუბიძე, შ. ხიდაშელი, კ. ბაქრაძე, გ. თევზაძე**, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ნ. ჭავჭავაძე**, პროფესორები **თ. ბუაჩიძე, ვ. ქვაჩახია** და სხვ).

ფართოდ წარიმართა ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხების კვლევა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში (მოგვიანებით ცალკე ჩამოყალიბდა სამართლის ინსტიტუტი). შეისწავლებოდა როგორც საქართველოს, ისე ძველი აღმოსავლეთის, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო, სამოქალაქო, სისხლის და საპროცესო სამართლის, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები **(თ. წერეთელი, გ. ინწკირველი)**. აღსანიშნავია შუა საუკუნეების სამართლის წიგნების (გიორგი ბრწყინვალის, ბექა–აღბუღას, ვახტანგ VI-ის სამართლის) პუბლიკაციები, აგრეთვე, ქართული სამართლის ძეგლების (ისტორიული დოკუმენტების) რვატომეულის გამოცემა **(აკად. ი. დოლიძე)**.

* * *

დროთა განმავლობაში აკადემიამ თავისი განშტოებები კვლევითი ინსტიტუტებისა თუ ცენტრების სახით რეგიონებშიც შექმნა: სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, თელავში, გორში, ზუგდიდში. აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სოხუმში აფხაზური ენისა და ლიტერატურის, ისტორიის (აკადემიის წევრ-კორესპონდენტები **ზ. ანჩაბაძე, გ. ძიძარია**), არქეოლოგიის (პროფ. **გ. ამიჩბა**), ენათმეცნიერების **(ხ. ბღაჟბა)**, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, რეგიონული ეკონომიკის შესწავლის კერად ჩამოყალიბდა. ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. ინსტიტუტი ინტენსიურად იკვლევდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიას (პროფ. **შ. ვარშანიძე**), არქეოლოგიას (აკად. წევრ-კორესპონდენტი **დ. ხახუტაიშვილი**, პროფ. **ა. კახიძე**), ეთნოგრაფიას (აკად. წევრ-კორესპონდენტი **ვ. შამილაძე**), დიალექტოლოგიას. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკთან არსებული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ბაზაზე 1944 წ. შეიქმნა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ძირითადი მიმართულებები იყო არქეოლოგია **(ბ. ტეხოვი)**, ისტორია და ეთნოგრაფია, ოსური ენა და ლიტერატურა (აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ნ. ჯუსოითი**). შეიქმნა, აგრეთვე, ქუთაისის მრავალდარგოვანი სამეცნიერო ცენტრი (აკადემიკოსი **რ. ადამია**, პროფესორები **ლ. სვანაძე, მ. ნიკოლეიშვილი**). ჩამოყალიბდა კახეთის არქეოლოგიური შესწავლის სამეცნიერო ცენტრი **(აკადემიკოსი კ. ფიცხელაური)**, სამეგრელოს რეგიონული სამეცნიერო ცენტრი – ზუგდიდის ისტორიული მუზეუმისა და ბოტანიკური ბაღის ბაზაზე **(პროფესორები ილ. ანთელავა, გ. არახამია)**, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველოლოგიური დარგების განვითარებაში.

* * *

საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველოს მოუტანა არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, არამედ აზროვნების თავისუფლებაც, რაც, ბუნებრივია მეცნიერებაზეც გავრცელდა. საბჭოთა კავშირში გაბატონებული ოფიციალური იდეოლოგიის წნეხს ყველაზე მეტად ჰუმანიტარული მეცნიერებები განიცდიდა, განსაკუთრებით, ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდები, უახლესი ეპოქის ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია... ანუ, წნეხი იგრძნობოდა იქ, სადაც ოფიციალურ იდეოლოგიას თავისი „ინტერესები“ ჰქონდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთი „ინტერესების“ მიღმა რჩებოდა ძველი და შუა საუკუნეების ისტორია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ „საავალდებულო აქსიომას“), არქეოლოგია, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ფსიქოლოგია... სადაც აღნიშნული იდეოლოგიური წნეხი არ იყო ყოვლისმომცველი და აკადემიური თავისუფლებაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული იყო. შეიძლება ითქვას, არაოფიციალური საზოგადოებრივი აზრი მეცნიერებად სწორედ ამ მიმართულებებში შექმნილ ნაშრომებს აღიქვამდა. გარედან თავსმოხვეული პოლიტიკური სისტემის დემონტაჟის შედეგად მეცნიერებაც (და, საერთოდ, ინტელექტუალური შემოქმედება) სრულიად გათავისუფლდა იდეოლოგიური არტახებისგან. მეცნიერული ობიექტურობა კი თანდათანობით და მზარდი ინტენსიურობით იბრუნებს კუთვნილ ადგილს ოდესღაც საბჭოური იდეოლოგიის კონტროლირებადი მიმართულებების კვლევაში. უკანასკნელმა ოცდაათმა წელიწადმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ჰუმანიტარული მეცნიერებები, გაჩნდა ახალი მიმართულებები და თემატიკა. დამოუკიდებლობამ მოიტანა ისიც, რომ შეუზღუდავი გახდა საზღვარგარეთის მეცნიერების მიღწევებთან წვდომა, გაფართოვდა საერთაშორისო კონტაქტები.

უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელიც თავისი კვლევითი დაწესებულებების ქსელით მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს წიაღში შეიქმნა და ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ სახელმწიფოს სამეცნიერო-კვლევითი სივრცის ნაწილი იყო, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ სრულიად ახალ ვითარებაში აღმოჩნდა. აკადემია დადგა გარდამავალი ხანის ახალ რეალობასთან ადაპტაციის არც თუ მარტივი ამოცანის წინაშე, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმას გულისხმობდა, რომ რეფორმირების გზით აკადემიას მოენახა თავისი ადგილი დამოუკიდებელი საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სისტემაში. მეტად მტკივნეული აღმოჩნდა ახალ რელსებზე გადაწყობა. აკადემია, ერთი მხრივ, უნდა გამხდარიყო ქვეყნის წინაშე წამოჭრილი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის ერთ–-ერთი აქტიური მონაწილე, მეორე მხრივ, საკუთარი პოტენციალის არსებული დონის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისთვის ოპტიმალური გზები უნდა ეძია. ეს პროცესი სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანდა, ხელისუფლებისა და აკადემიის პოზიციების შეჯერება და რეფორმის არსში შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი რომ გამხდარიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ხელისუფლებამ აკადემიას ჯერ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ჩამოაშორა, ორიოდე წლის შემდეგ კი მათი დიდი უმრავლესობა სახელმწიფო უნივერსიტეტებს შეუერთა. ამ გარდაქმნის დეკლარირებულ მიზნად ადმინისტრირების ახალი მოდელის მეშვეობით მეცნიერების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა სახელდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ რეფორმის განხორციელების გაუაზრებელმა მეთოდებმა და ნაჩქარევმა გადაწყვეტილებებმა წინასწარ გაცხადებული შედეგი ვერ მოგვცა!

ჩატარებული გარდაქმნების შედეგად სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან აკადემიის სამართლებრივი ურთიერთობა კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშების საექსპერტო შეფასებით შემოიფარგლა. **მიუხედავად ამისა, სამეცნიერო კვლევა-ძიება აკადემიაში ინტენსიურად გრძელდება აკადემიის წევრების ძალისხმევით.** ჰუმანიტარული დარგები წარმოდგენილია აკადემიის ორ – საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების – განყოფილებაში. განყოფილების წევრები წარმატებით ახორციელებენ როგორც ინდივიდუალურ კვლევებს, ისე ამა თუ იმ სტატუსით (ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი) აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კოლექტიური სამეცნიერო პროექტების შესრულებაში. ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება აკადემიის პრეზიდიუმთან და აღნიშნულ განყოფილებებთან არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში, ესენია, ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია **(პროფ. ზ. აბაშიძე)**, აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი **(აკად. თ. გამყრელიძე)**, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია **(აკად. რ. მეტრეველი)**, ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისია **(სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II)**, ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი **კომისია (აკად. ე. ჯაველიძე)**, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია **(აკად. დ. მუსხელიშვილი)**, ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი **(აკად. წევრ-კორესპონდენტი ლ. მელიქიშვილი)**, ქართული ენის კომისია **(აკად. მზ. შანიძე)**, ქართული ლიტერატურის კომისია **(აკად. ე. ხინთიბიძე)**, აფხაზური ენისა და კულტურის კომისია **(ზ. შენგელია)**, რომელთა საქმიანობაში აკადემიის წევრებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი დარგის წამყვანი სპეციალისტები. ჰუმანიტარული კვლევების პუბლიკაციას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს აკადემიის ინგლისურენოვანი ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე“, სისტემატურად გამოდის აკადემიის „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის წელიწდეული „ქართული დიპლომატია“ (მთავარი რედაქტორი **აკად. რ. მეტრეველი**).

* * *

შუამგეჯდავი მიღწევებით აღინიშნა დასახელებული დარგების განვითარება. მათი სრული აღნუსხვის ადგილი აქ შეიძლება არ გვქონდეს, მაგრამ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ განსაკუთრებული ხასიათის სიახლეებს, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში.

საყურადღებოა არქეოლოგიური კვლევებისადმი მიძღვნილი ნაშრომები **(აკად. ო. ჯაფარიძე, აკად. წევრ-კორესპონდენტი გ. ლორთქიფანიძე)**, დიდი შირაქის ველსა და ფიჭვნარში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების პირველი შედეგები **(აკადემიკოსი კ. ფიცხელაური, პროფ. ა.კახიძე)**. მიმდინარეობს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კარდინალური პრობლემების შესწავლა **(აკად. მ. ლორთქიფანიძე, აკად. რ. მეტრეველი)**. გრძელდება საქართველოსა და კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის აქტუალური საკითხების კვლევა **(დ. მუსხელიშვილი)**, შეისწავლება ეთნოლოგიის თანამედროვე საკითხები, კერძოდ, ეთნოსოციალური პროცესები **(აკად. წევრ-კორესპონდენტი ლ. მელიქიშვილი)**, მუსიკალური ფოლკლორისა **(პროფ. ნ. მაისურაძე)** და ხალხური მედიცინის **(პროფ. ნ. მინდაძე)** პრობლემები და სხვ. საინტერესო სიახლეებია აღმოსავლეთმცოდნეობაში.

იხ. 6 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. №23-28

თამაზ გამყრელიძე



ქართველი ენათმეცნიერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. (დაიბადა 1929 წ. 23.X), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974 წ.), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1962 წ.), პროფესორი (1964 წ.), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემის პრეზიდენტი (2005 წ.-დან 2013 წ.-მდე). ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი (1971 წ.). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ფილოლოგიის განყოფილება სემიტოლოგიის სპეციალობით (1952 წ.). სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა (აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი 1973 წ.-დან), იკვლევს ძველი აღმოსავლური ენების, ინდოევროპული, სემიტიკური და ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორიული ენათმეცნიერების საკითხებს. 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები“. ნაშრომში „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“ (სადოქტორო დისერტაცია) გადაჭრა ერთ-ერთი სადავო საკითხი ხეთური ენის ინდოევროპულ ენებთან მიმართებისა. ხეთოლოგიურ ნაშრომთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აგრეთვე გამოკვლევები ხეთური სოლისებრი დამწერლობის წარმოშობისა და ხეთური კონსონანტიზმის ინდოევროპულ კონსონანტიზმთან მიმართების შესახებ. გამოკვლევაში „ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის პრობლემისათვის“ (1972 წ.) მოცემულია ახლებური ინტერპრეტაცია ნიშნის პირობითობისა ნ. ბორის „დამატებითობის პრინციპის“ თვალსაზრისით.

თ. გამყრელიძის ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან აღსანიშნავია „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (1959 წ.). სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მონოგრაფიამ „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965 წ.; გ. მაჭავარიანის თანაავტორობით), სადაც მოცემულია საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის ძირითადი სტრუქტურული მოდელების აღდგენა.

გიორგი კვესიტაძე,
აკადემიკოსი

როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი

ეროვნული აკადემია – თავად დიდი აკადემიკოსი

(მეხუთე გვერდიდან)

ინტენსიურ ხასიათს ატარებს ძველი ანატოლიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წყაროების – იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი ძეგლების თარგმნა და ანალიზი (**აკად. ნ. ხაზარაძე**), არაბული ენის დიალექტოლოგიისა და დიალექტური მხატვრული ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები (აკად. **აპ. სილაგაძე**), ქართულ-არაბული პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების საკითხები (**პროფ. გ. ჯაფარიძე**), შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურის პრობლემები (**აკად. ე. ჯაველიძე**). ითარგმნა და გამოიცა საქართველოს ისტორიის თურქული დოკუმენტური წყაროები (**პროფ. ნ. შენგელია**). ქართულ კავკასიოლოგიაში ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება – ალბანისტიკა. ქართველმა მეცნიერებმა **აკად. ზ. ალექსიძის** ხელმძღვანელობით გამოავლინეს და შეისწავლეს ჩვენი ისტორიული მეზობლების – ალბანელების ენისა და მწიგნობრობის უძველესი ძეგლები, რომლებიც ახლებურად წარმოგვიდგენს აღრექრისტიანული კავკასიის კულტურულ-კონფესიურ ვითარებას. წარმატებით ვითარდება გრეცისტიკა ძველი საქართველოსა და კავკასიის კულტურულ-ისტორიულ პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირში (**აკად. რ. გორდეზიანი**), შეისწავლება წინაბერძნულ-ქართველური ენობრივი მიმართებები. ტრადიციულად მუშავდება თეორიული ენათმეცნიერების (**აკად. თ.გამყრელიძე**), ქართული ენის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის საკითხები (**აკად. გ. კვარაცხელია**), მიმდინარეობს მუშაობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის ახალ რედაქციაზე, ქართული ენის თესაურუსის ლემატიზაციაზე (**აკად. ა. არაბული**). ახალი ნაშრომები მიეძღვნა ქართულ-ადიღეური ენების შედარებით ანალიზს (**აკად. წევრ-კორეს-პონდენტი ვ. შენგელია**). შეისწავლება ეფრემ მცირისა და დავით აღმაშენებლის ისტორიის ტექსტოლოგიის საკითხები (**აკად. მზ. შანიძე**), „ვეფხისტყაოსნისა“ და XVII ს. ინგლისური დრამატურგიის მიმართება (**აკად. ე. ხინთიბიძე**), თანამედროვე ლიტერატურული პროცესები (**აკად. ე. ჯაველიძე**). შესამჩნევი შედეგებია ეკონომიკურ მეცნიერებაში. გასული საუკუნის ბოლოს მომხდარმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების რადიკალურმა შეცვლამ ეკონომიკურ მეცნიერებას სრულიად ახალი ამოცანები დაუსახა და, შესაბამისად ინტენსიურად წარიმართა დარგში ახალი მიმართულებების ჩამოყალიბების პროცესი (აკადემიკოსები **ვ. პაპავა, ა. სილაგაძე**).

დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის აკადემიიდან გასვლისა და რეორგანიზაციის შემდეგ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ტრადიციების შენარჩუნება და შემდგომი განვითარება აკადემიას ხვდა წილად, სადაც ფსიქოლოგიური პრობლემების კვლევა ერთ-ერთი მოწინავე მოძღვრების – განწყობის თეორიის საფუძველზე მიმდინარეობს (**აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ი. იმედაძე, დ. ჩარკვიანი**).

საინტერესო სიახლეებია სამართალმცოდნეობაში, სახელდობრ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციური სამართლის აქტუალურ პრობლემებს, რასაც მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია (**აკადემიკოსები ლ. ალექსიძე, ჯ. ხეცურიანი**).

უნდა ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული თითოეული დარგის მიღწევების სათანადო სისრულით აღნუსხვას მოზრდილი მონოგრაფიების მოცულობა თუ დაიტევს, მაგრამ ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო და არის მეცნიერებათა აკადემიის წვლილი ქართველოლოგიისა და, ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში. ინტერესმოკლებული არაა ის გარემოება, რომ აღნიშნული მიღწევები ადეკვატურად აღიქმება გარეშე დამკვირვებლების მიერაც. ამის კარგი მაგალითია გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ **ს. კარპოვის** მიმართვა ორიოდე წლის წინათ თბილისში გამართული საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესისადმი, სადაც ხაზგასმულია, რომ **საქართველო, რომელმაც განუმეორებელი და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში, დღესაც, გლობალიზაციის ურთულეს პირობებშიც, ღირსეულად აგრძელებს და ავითარებს სამამულო ქართველოლოგიური სკოლის სახელოვან ტრადიციებს, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმატებით ახორციელებს ქართული და უცხოური ქართველოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების კონსოლიდაციას.**

* * *

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ განსაკუთრებული ხასიათის სიახლეებს, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში. ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციისა (მარიამისეული, მაჩაბლისეული, კლიმიაშვილისეული, ანასეული, ჭალაშვილისეული) და, აგრეთვე, ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მიერ რედაქტირებული (რუმიანცევისეული, თეიმურაზისეული და სხვ.) ნუსხებზე დამყარებული კრიტიკული ტექსტის გამოცემა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (ქართული და რუსული გამოცემების მთავარი რედაქტორი **აკად. რ. მეტრეველი,** ინგლისურის – ამერიკელი ქართველოლოგი, **პროფ. სტივენ ჯონსი**), საქართველოს ისტორიული ატლასის მეორე, შევსებული გამოცემა (მთავარი რედაქტორი **აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი**). ქართული ენათმეცნიერების გარკვეული ეტაპის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს ენციკლოპედიური ხასიათის კოლექტიური ნაშრომი „ქართული ენა“ (რედაქტორი **აკადემიკოსი გ. კვარაცხელია,** შემდგენელი **პროფ. ი. ქობალავა**). საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ენციკლოპედია „საქართველო“, რომლის I-III ტომები უკვე მიიღო მკითხველმა და რიგშია IV ტომი (მთავარი რედაქტორი **პროფ. ზ. აბაშიძე**). შვედეთში (ქ. სტოკჰოლმი) რუსულ ენაზე გამოიცა **აკად. რ. მეტრეველის** მონოგრაფიები – „წმინდა დავით აღმაშენებელი“ და „წმინდა მეფე თამარი“, რომლებიც განკუთვნილია უცხოეთში საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული ფართო აუდიტორიისათვის. გამოვიდა, აგრეთვე, სამეცნიერო-ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომეულის „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ ოთხი წიგნი. რუსთაველის კომიტეტის ეგიდით გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ **პროფ. პ. მარგველაშვილის** მიერ მომზადებული ახალი რედაქცია, რომელსაც ერთვის საძიებო სისტემით აღჭურვილი მდიდარი ელექტრონული მასალა; გამოიცა ვრცელი კრებული „დიდი ექვთიმე“, რომელიც აკად. ე. თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება, უკვე გამოვიდა ე. თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის 10 ტომი; ინტერესით შეხვდა მკითხველი საზოგადოება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ქ. მოსკოვში 2015 წ. გამოცემულ ფართოპლანიან ნაშრომს „ქართველები“, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან **აკად. წევრ-კორ. ლ. მელიქიშვილი, პროფ. ლ. ბერიშვილი, ლ. სოლოვი-ოვა** (გამოიცა მისი ქართული ვარიანტიც); აკადემიის პატრონაჟით გამოქვეყნდა სქელტანიანი მონოგრაფიები – **პროფ. ნ. ჯაველიძის „აფხაზეთი და აფხაზნი“ და პროფ. ვახტ. ითონიშვილის „დვალეთი და დვალები“**, რომლებიც საფუძვლიანად და მეცნიერული კეთილსინდისიერებით აშუქებენ საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილების ისტორიულ წარსულს, რაც, ცნობილი გარემოებების გამო, აფხაზურ, ოსურ თუ რუსულ პოლიტიკურად მოტივირებულ პუბლიკაციებში უმოწყალოდ მახინჯდება.

საპატიო აკადემიკოსები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II



მსოფლიო პატრიარქი, ყოვლად უწმიდესი ბართოლომეოს I

გამოქვეყნდა გამყალბებელთაგან საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის დასაცავად ქართველ მეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ნაშრომების ორი კრებული, რომლებიც მოამზადეს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიამ და ისტორიის,

ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრმა: 1. Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии, Научний редактор акад. Д. Мусхелишвили, Тб., 2009. აქ დაიბეჭდა ს.ჯანაშიას, ი. აზულაძის, მ. ლორთქიფანიძის, ზ. არველაძის, ნ. შოშიაშვილის, დ. მუსხელიშვილის, რ. მეტრეველის, დ. ბერძენიშვილის, გ. მაისურაძის, ე. ცაგარეიშვილის, ა. ონიანის, ზ. სარჯველაძის და სხვ. სტატიები, სადაც მკვეთრი პასუხია გაცემული ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსის მიერ საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების გაყალბებაზე. 2. Некоторые вопросы истории осетии в Шида Картли, Тб,. 2010, Главный редактор акад. Д. Мусхелишвили. კრებულში შეტანილია ნაშრომები, რომელთა ავტორები (მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ა. თოთაძე, ვალ. ითონიშვილი, ვახტ. ითონიშვილი და სხვ.) ობიექტურად აშუქებენ ქართველი და ოსი ხალხების მრავალმხრივ ურთიერთობებს და მეცნიერული არგუმენტაციით აქარწყლებენ აღნიშნული საკითხების ფალსიფიკაციის მცდელობებს; ახლახან მეორედ გამოიცა ს. ჯანაშიას პოლემიკური ნაშრომის „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“ (პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1946 წ.) ქართული თარგმანი.

* * *

ნათელია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წვლილი საქართველოში მეცნიერების ჰუმანიტარული დარგების განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია, ხოლო შექმნილი მემკვიდრეობა – მყარი საფუძველი მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებსა და ამ საუკუნის დასაწყისში სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გავრცელებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა განაპირობა სამეცნიერო ინფრასტრუქტურაში ადეკვატური ცვლილებების აუცილებლობა. მიღებული იქნა დადგენილება „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების“ კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“. ხაზი გაესვა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის საქართველოს სამართლის იურიდიული პირი სრული ავტონომიური უფლებებითა და სახელმწიფოს დაფინანსებით (2005 წ. 23. XII).

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთელს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 2007 წლის 14 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ,,საქართველოს კანონი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“. ფრიად მნიშვნელოვანია კანონში დადასტურებული დებულება: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის უძველესი ქართული აკადემიების – გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე, სახელმწიფოს მაღალი დონის ინტელექტუალური განვითარების ატრიბუტი, საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო და სამოქალაქო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება“.

განსაკუთრებით აღვნიშნავთ – **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას კანონით აქვს მინიჭებული საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩევლის სტატუსი.**

დღესდღეობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მოქმედებს ზემოთ მოტანილი სახელმწიფო კანონის შესაბამისად. ძირითადი მიზანია მსოფლიო მეცნიერული მიღწევების შესაბამისად ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისთვის ხელშეწყობა, მოპოვებული წარმატების წარმოჩენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საერთაშორისო ასპარეზზე.

არსებული ამოცანების გადასაწყვეტად მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარგობრივ განყოფილებებთან (9 განყოფილება) შექმნილია საგანგებო კომისიები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგში, რომლებშიც აკადემიის წევრებთან ერთად ქვეყნის სხვა წამყვანი მეცნიერებიც შედიან. კომისიები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა მეცნიერული საკითხების შესწავლაში, ხელს უწყობენ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების წარმოებას, განიხილავენ და შეაფასებენ დასრულებულ კვლევით სამუშაოებს. კომისიათა სხდომებზე განიხილება ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები (ცხადია, მეცნიერული) და საჭირო შემთხვევაში შედეგები ხელისუფლებაშიც იგზავნება (მაგ. ეკონომიკის, სასმელი წყლით მომარაგების, კატასტროფების (მიწისძვრები, ღვარცოფები), დემოგრაფიის და სხვ.) რეაგირებისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ დარგობრივი კომისიების მიერ აკადემიური საბჭოს სხდომაზე შემოტანილი და განხილული იქნა ქვეყნისათვის არაერთი პრობლემა და აკადემიის მოსაზრებები გადაეგზავნა საქართველოს მთავრობასა და შესაბამის ორგანოებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამოიცემა აკადემიის წევრთა წლიური ანგარიშები, სადაც ასახულია ცალკეულ პირთა სამეცნიერო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა – გამოქვეყნებული მონოგრაფიები, ცალკეული სტატიები, მოპოვებული გრანტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო მივლინებები და სხვ.

„ანგარიში“ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს აკადემიის წევრთა რეალური საქმიანობის შედეგებზე.

აკადემიას გააჩნია თავისი საპრემიო სისტემა. სხვადასხვა დარგში გამოქვეყნებული წარმატებული სამეცნიერო ნაშრომები ჯილდოვდება სახელმწიფო პრემიებით. ხდება ახალგაზრდა წარმატებულ მეცნიერთა წახალისება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანების წევრია (მაგალითად: „აზიისა და აფრიკის აკადემიათა ასოციაცია“, „სრულიად ევროპის აკადემიათა ასოციაცია“, ,,ევრაზიის აკადემიათა ასოციაცია“ და სხვ.). აკადემიის წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არიან მსოფლიოს სხვადასხვა აკადემიებისა და უნივერსიტეტების საპატიო უცხოელი წევრები და საპატიო დოქტორები. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში აკადემიის უცხოელი ან საპატიო წევრის სტატუსით არიან გამოჩენილი უცხოელი მეცნიერები.

საპატიო აკადემიკოსები.



ფედერიკო მაიორი
1998

ელენ კარერ დ'ანკოსი
2003

გიორგი კვესიტაძე



ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (დაიბადა 1942 წ. 30 მაისს). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი 2004 წლიდან.

2013 წლიდან დღემდე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

1980 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 2011 წლიდან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, 2013 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორი; 1985-1987 წწ. გ. კვესიტაძე საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა, 1992-1994 წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი.

გ. კვესიტაძის სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება მიკროსკოპული სოკოების ამილოლიტური ფერმენტების ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებების შესწავლას. მან წარმატებით განავითარა ეს მიმართულება და გაამდიდრა ახალი მონაცემებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ?-ამილაზას მჟავასტაბილური ფორმა, რომლის არსებობა გ. კვესიტაძემ პროფესორ ტ. მინოდისთან (იაპონია) ერთდროულად დააღგინა (1969 წ.). 1973 წ. ამ ფერმენტის მიღების მეთოდი დაპატენტებულ იქნა აშშ-ში, ხოლო 1974 წ. – გერმანიასა და შვეიცარიაში. ამ თემატიკის გარშემო გ. კვესიტაძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია და მიიღო 14 საავტორო უფლება. გ. კვესიტაძე აქტიურად თანამშრომლობდა ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტთან.

გ. კვესიტაძემ თავის მასწავლებელთან, ცნობილ მეცნიერთან, მცენარეთა ქსენობიოქიმიის ფუძემდებელთან, აკადემიკოს ს. დურმიშიძესთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, გამოიკვლია სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფის მიკროორგანიზმებისა ვფ მცენარეების დეტოქსიკაციური პოტენციალი.

გ. კვესიტაძის დამსახურებაა ამ კვლევებისთვის ტექნოლოგიური მიმართულების მიცემა. ინსტიტუტის კოლეგებთან ერთად შეიმუშავა მთელი პლანეტის ეკოლოგიური პოტენციალის გაზრდის კონცეფცია. ამ კვლევების შედეგები პლენარული მოხსენებების სახით წარდგენილი იყო სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე.

2006 წ. გამომცემლობა „Springer“-მა (გერმანია) გამოსცა გ. კვესიტაძის ხელმძღვანელობით შესრულებული მონოგრაფია „დეტოქსიკაციის მექანიზმები უმაღლეს მცენარეებში, ფიტორემედიაციის საფუძველი“, სადაც პირველადაა მოცემული დეტოქსიკაციურ პროცესებში მონაწილე ფერმენტული სისტემების თანმიმდევრული ანალიზი.

1978-1979 წწ. და 1984 წ. გ. კვესიტაძე იმყოფებოდა ხანგრძლივ მივლინებებში პენსილვანიისა და აიოვას შტატების უნივერსიტეტებში, სადაც მუშაობდა ბიოსაწვავის წარმოების ტექნოლოგიის შემუშავებაზე, კითხულობდა ლექციებს, ატარებდა სემინარებს.

გ. კვესიტაძე არის NATO-ს სიცოცხლისა და ტექნოლოგიების მეცნიერების განყოფილების ასოცირებული სამეცნიერო ექსპერტი (1999 წ.). იმავე წლიდან ის არის საფრანგეთი-ისრაელის Hi-Tech-ის ასოციაციის ექსპერტი, 2000 წ.-დან კი ევროსაბჭოს ექსპერტი ბიოტექნოლოგიაში.

გ. კვესიტაძე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბე“-ს რედაქტორი, მეცნიერების და ხელოვნების აკადემიის (ზალცბერგის) წევრი (2013 წ.), მსოფლიოს ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი (2013 წ.).

გ. კვესიტაძე ეწევა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მრავალი წლის განმავლობაში ის არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც 1993 წ. მისი ინიციატივით დაარსდა ბიოტექნოლოგიის კათედრა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობას წარმოადგენს აკადემიის პრეზიდიუმი: პრეზიდენტი აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე,** ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი **რონ მეტრეველი,** აკადემიკოს-მდივანი **რამაზ ხუროძე;** წევრები – აკადემიკოსები: **თამაზ გამყრელიძე** (საპატიო პრეზიდენტი), **გიორგი ჯაფარიძე** (მათემატიკა-ფიზიკა), **ერეკლე გამყრელიძე** (დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები), **ელგუჯა მეძმარიაშვილი** (საინჟინრო მეცნიერებები), **შოთა სამსონია** (ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები), **თინათინ სადუნიშვილი (ბიოლოგიური** მეცნიერებები), **ნოდარ მითაგვარია** (ფიზიოლოგია და მედიცინა), **ოთარ ნათიშვილი** (სოფლის მეურნეობა), **რონ მეტრეველი** (საზოგადოებრივი მეცნიერებები), **გუჩა კვარაცხელია** (ენა, ლიტერატურა, ხელოვნება), **ჯონი ხეცურიანი, ბიძინა კორახაშვილი, ხვედრი ინასარიძე.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსები არიან: **ილია II** – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი; **ფედერიკო მაიორი** –– იუნესკოს გენერალური დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ელენ კარეს დ'ანკოსი** – საფრანგეთის აკადემიის მუდმივი მდივანი; **პაატა ზურჭულაძე** – საქართველოს სახალხო არტისტი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი საპატიო წევრები არიან ბართლომეოს I, ყოვლადუწმინდესი, მსოფლიო პატრიარქი და **გურბანგული ბერდიმუჰამედოვი** – თურქმენეთის პრეზიდენტი.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებს მაღალი მეცნიერული მიღწევები აქვთ: გამოდის მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, მსოფლიოს პრესტიჟულ ჟურნალებში იბეჭდება სტატიები, სახეზეა მეტად სერიოზული გამოგონებები.

ქვეყნის პოლიტიკას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, ცალკეული კანონები, რომლებიც მიღებულია ზოგადად მეცნიერების განვითარებისა და კერძოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ.

დღეს, საქართველოს სერიოზული განაცხადი აქვს გაკეთებული ევროკავშირსა და ნატოში შესვლის მიზნით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში მაღალგანვითარებული მეცნიერების არსებობას, ფუნდამენტური მეცნიერების პრიორიტეტულ განვითარებას. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ახალ გამოწვევებს და აცნობიერებს მას.

ქართული მეცნიერება - ფუნდამენტური თუ გამოყენებითი, ყოველთვის მაღალ დონეზე იყო. და ასეა ამჯერადაც - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეოთხმოცე წლისთავზეც!.. აკადემიას ხელეწიფება, რომ ახალი დროის მიერ დასმული ამოცანა წარმატებით შეასრულოს – მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქართული მეცნიერების მაღალ დონეზე წინსვლა-განვითარებაში.

ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ხსოვნას

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საყოველთაოდ აღიარებული ლინგვისტი, მეოცე საუკუნის მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაჩინო ფიგურა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. მეცნიერის მიერ განვლილი ცხოვრების გზა სახელოვანი ფურცელია ერისა და ქვეყნისათვის გაწეული მრავალმხრივი და მასშტაბური ღვაწლისა.

აკად. თამაზ გამყრელიძეს გამორჩეული წვლილი მიუძღვის ქართველოლოგიის, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობისა და ინდოევროპეისტიკის განვითარებაში, ზოგადად, ქართული მეცნიერების წარმატებასა და მაღალი პრესტიჟის შექმნაში საერთაშორისო ასპარეზზე; ამავე დროს, თვალსაჩინოა მისი საზოგადო მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის განვითარების ურთულეს პერიოდში, უკანასკნელი 3-4 ათეული წლის განმავლობაში, მისი პირადი ღვაწლი საქართველოს პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თამაზ გამყრელიძე დაიბადა 1929 წლის 23 ოქტომბერს ქ. ქუთაისში. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1952 წელს დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ფილოლოგიის განყოფილება სემიტოლოგიის განხრით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თ. გამყრელიძე მუშაობას იწყებს ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკად. გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით ეუფლება სემიტოლოგიის საფუძვლებს. ხელმძღვანელისავე თაოსნობით იგი გაიგზავნა ლენინგრადში და იქ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, პროფ. ი. დიაკონოვის ხელმძღვანელობით შეისწავლიდა ძველი აღმოსავლეთის ენებს — აქადურს, ურარტულს, ხეთურს...

ასპირანტურის კურსის წარმატებით გავლის შემდეგ იგი ჩამოყალიბდა, როგორც ზოგადი ენათმეცნიერებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის საუკეთესო სპეციალისტი. უნივერსიტეტის დამთავრებიდან სულ მოკლე ხანში, 1956 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები“, რომელიც შეფასებულ იქნა, როგორც დოქტორის სამეცნიერო ხარისხის შესაფერისი შრომა. სადოქტორო დისერტაციაც კვლავ ხეთურის სტრუქტურულ ბუნებას შეეხებოდა — „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“. ამ ნაშრომში წარმოდგენილ იქნა ახალი ხედვა ინდოევროპული ლარინგალური ფონემების ისტორიული განვითარებისა და მათი თავისებური რეფლექსების შესახებ ინდოევროპულ ენათა დიაქრონიაში. ხეთური სოლისებრი დამწერლობის წარმოშობისა და ფონემური სისტემის კვლევისას მან თავისებურად განავითარა „ლარინგალური თეორია“, რომელიც ინდოევროპულ ფონემათა განვითარების ხანგრძლივ პროცესს ეხება. ამ ნაშრომში მეცნიერი უკვე წარმოჩნდა, როგორც ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი საკითხებისა და ხეთოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემათა საუკეთესო მკვლევარი.

ფართო თეორიულმა მომზადებამ და დიდმა სამეცნიერო დიაპაზონმა მკვლევარს საშუალება მისცა პასუხი გაეცა უახლესი თეორიული გამოწვევებისათვის და თავისი განუმეორებელი კვალი აღებეჭდა თანამედროვე, აქტუალურ მეცნიერულ პრობლემატიკაში, რომელიც მეცნიერების განვითარების უახლეს ეტაპზე წამოიჭრა ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა თუ ინდოევროპეისტიკის საკვლევაძიებო ასპარეზზე. მთელი ამ დროის განმავლობაში თ. გამყრელიძე დიდი წარმატებით მოღვაწეობს როგორც თეორიული ენათმეცნიერების, ისე ქართველოლოგიისა და ინდოევროპეისტიკის სფეროებში.

სრულიად განსაკუთრებულია აკად. თ. გამყრელიძის წვლილი ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითს კვლევაში; ჩართო რა კომპარატივისტიკის უკვე გამოცდილ მეთოდოლოგიაში სტრუქტურალიზმისა და ზოგადტიპოლოგიური ძიების უახლესი მეთოდები, მან სრულიად ახლებურად დასვა და გადაწყვიტა ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის არაერთი თითქოს უკვე ამოწურული საკითხი. ამისი დასტური იყო მისი პირველივე კომპარატივისტული ნაშრომი ქართველურ ენათა შედარებით ფონეტიკაში - სიბილანტთა შესატყვისობების შესახებ, რომელმაც მოგვცა ისეთი ზოგადმეთოდოლოგიური და ზოგადლინგვისტური მნიშვნელობის შედეგი, რომელიც „გამყრელიძის კანონის“ სახელით არის ცნობილი. შეიძლება ითქვას, ასეთი თეორიული სიახლეები და „კანონები“ მუდმივად თან სდევდა თამაზ გამყრელიძის სამეცნიერო მოღვაწეობას, მის სახელს.

ქართველურ ენათა კვლევისა და ქართული მეცნიერების განვითარების სრულიად ახალ ეტაპს განასახიერებს ფუნდამენტური მონოგრაფია „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965), რომელიც გივი მაჭავარიანთან თანაავტორობით შეიქმნა და რომელმაც ქართველურ ენათა ისტორიული გრამატიკის არსებითად ახალი კონცეფცია შემოგვთავაზა, ხოლო თეორიული თვალსაზრისით ეს იყო ახალი სამეცნიერო პარადიგმა, რითაც ეს მონოგრაფია უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა არა მხოლოდ სამამულო, არამედ საერთაშორისო შედარებით ენათმეცნიერებაში, დიაქრონიულ კვლევებში. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ეს ნაშრომი მთლიანად ითარგმნა და გამოიცა გერმანულ ენაზე.

აკად. თამაზ გამყრელიძემ თავისი გამორჩეული სიტყვა თქვა გრამატოლოგია-პალეოგრაფიის სფეროში; მან საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა ქართული დამწერლობის სტრუქტურისა და ისტორიის ანალიზს: „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა“ (1989; მისი ინგლისური თარგმანი - 1995). ქართული დამწერლობის შინაგანმა სისტემურმა ანალიზმა და მისმა სტრუქტურულ-ტიპოლოგიურმა შეპირისპირებამ ძველ სემიტურსა და ძველ ბერძნულ დამწერლობებთან უფრო ცხადი გახადა ქართული ანბანის მიმართება სხვა სისტემის ანბანებთან, მისი ტიპოლოგიური ადგილი ადრექრისტიანული პერიოდის დამწერლობათა (კოპტური, გოთური, ძვ. სომხური, ძვ. სლავური) შორის.

აკად. თ. გამყრელიძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის კიდევ ერთი შთამბეჭდავი ფურცელია ცნობილ ენათმეცნიერთან ვიაჩესლავ ივანოვთან თანაავტორობით შექმნილი ორტომიანი მონოგრაფია „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. ფუძე-ენისა და პროტო-კულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი“ (1987), რომელშიც ავტორებმა ინდოევროპული ენის ბუნებისა და ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის შესახებ სრულიად ახლებური თეორია შესთავაზეს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას. ამ თეორიის საფუძვლად აღებული ე.წ. გლოტალური თეორია პრინციპულად ახალი სამეცნიერო პარადიგმა იყო ინდოევროპულ ენათა შედარებითსა და ტიპოლოგიურ კვლევაში და მისი გამოჩენა ინდოევროპეისტიკის, ერთი შეხედვით, გარკვეულსა და დალაგებულ სივრცეში ფიგურალურად ტუნგუსის მეტეორის ჩამოვარდნასთანაც კი იქნა შედარებული! რაც მთავარია, ამ ღრმა და მასშტაბურმა ნაშრომმა ახალი ბიძგი მისცა ენათა და კულტურათა შედარებითსა და ტიპოლოგიურ კვლევებს მთელ მსოფლიოში.

აკად. თ. გამყრელიძე მუდმივად იყო ახალ სამეცნიერო იდეათა და წამოწყებათა მოთავე და წარმმართველი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მეცნიერებათა აკადემიაში 90-იანი წლების ბოლოდან მუშავდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორიც არის „ქართული ენის თესაურუსი“ (ისტორიული ლექსიკონი) და ამ სამეცნიერო პროექტს საფუძვლად დაედო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ცნობილი მემკვიდრეობა, მისი ლექსიკური ბაზები; ხოლო ამ კომისიისა (დღეს „რუსთაველის კომიტეტი“) და მისი ბაზების უვნებლად შემონახვა პირადად ბატონი თამაზის დამსახურებაა. მან არა მხოლოდ შეინარჩუნა ეს მემკვიდრეობა და რესურსები, არამედ ქართველოლოგიური კვლევების თანამედროვე მოთხოვნებსაც ოპტიმალურად დაუქვემდებარა.

აკად. თ. გამყრელიძეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული მეცნიერების მართვის საქმეში. 1973-2005 წლებში იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, შემდგომ — საპატიო დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; 1966 წლიდან ხელმძღვანელობდა თსუ სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრას (1999 წლიდან — ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრა, ხოლო ამჟამად — თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი). 2005-2013 წლებში იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ხოლო 2013 წლის ივლისიდან ამავე აკადემიის საპატიო პრეზიდენტია; როგორც ითქვა, იგი ხელმძღვანელობს აკადემიის ერთ-ერთ სამეცნიერო სტრუქტურას — „რუსთაველის კომიტეტს“.

განსაკუთრებულ სურათს ქმნის აკად. თამაზ გამყრელიძის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი და მის ღირსებათა აღიარების მართლაც შთამბეჭდავი ნუსხა:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს 1967 წელს, ხოლო აკადემიკოსია 1974 წლიდან;

საკავშირო (ამჟამად — რუსეთის) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1984 წლიდან;

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979 წ.).

გარდა ამისა, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე არის მსოფლიოს არაერთი ცნობილი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრი:

„ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის“ უცხოელი წევრი (ქ. ვაშინგტონი);

„ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის“ უცხოელი საპატიო წევრი (ქ. კემბრიჯი);

„ევროპის მეცნიერებათა აკადემიის“ ნამდვილი წევრი (ქ. ლონდონი);

„ბრიტანეთის აკადემიისა“ (ქ. ლონდონი) და „ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის“ (ქ. ვენა) უცხოელი წევრი;

„უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის“ საპატიო წევრი (ქ. ბუდაპეშტი);

„საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის“ უცხოელი წევრი (ქ. ლაიფციგი);

„ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის“ უცხოელი წევრი (ქ. რიგა);

„მეცნიერებათა და ხელოვნებათა ევროპული აკადემიის“ წევრი (ქ. ზალცბურგი);

„ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების“ საპატიო წევრი (ქ. ვაშინგტონი);

„ევროპის ლინგვისტური საზოგადოების“ წევრი (იყო ამ „საზოგადოების“ პრეზიდენტი 1986 წელს);

„ინდო-ევროპული საზოგადოების“ საპატიო წევრი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

არის ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი.

მას დამსახურებული აქვს ჰუმბოლდტის საერთაშორისო პრემია (გერმანია, 1989); ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია (თსუ, 1992); არის საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი (1999) და თბილისის საპატიო მოქალაქე (2000).

სრულიად განსაკუთრებულია თამაზ გამყრელიძის ურთიერთობა საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიასთან და მის სულიერ წინამძღოლთან. სწორედ მისი დამსახურებაა საქართველოს საპატრიარქოსა და მეცნიერებათა აკადემიის ესოდენ მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა და ის, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამშვენებს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობას, იგი 2005 წელს არჩეულ იქნა აკადემიის საპატო წევრად. ამ ურთიერთობის თვალსაჩინო გამოვლინება იყო ისიც, რომ მსოფლიო პატრიარქი, ბართოლომეოს მე-2 აკადემიას სტუმრობდა და არჩეულ იქნა აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ღირსეულად დააფასა თ. გამყრელიძის ღვაწლი და მას 2013 წელს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გადასცა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო, „წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს დიდი მეცნიერის აქტიური პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

აკად. თამაზ გამყრელიძე იყო „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა“ და რამდენიმე მოწვევის „საქართველოს პარლამენტის“ წევრი (1990-1992 და 1992-2003 წლებში); ხელმძღვანელობდა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს. აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, როგორც „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს“ წევრი, არის ერთ-ერთი ხელისმომწერი „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისა“ (1990 წლის 28 ოქტომბერი).

უფრო ადრე მას აქტიურმა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ მოუწია საკავშირო ასპარეზზე. აკად. თ. გამყრელიძე 1985 წლიდან იყო „სსრკ უზენაესი საბჭოს“ წევრი; იგი იყო საქართველოს დელეგაციის წევრი ქ. მოსკოვში 1989 წელს გამართული „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა“ (25 მაისი-9 ივნისი), რომელზეც მან ისტორიული სიტყვა თქვა 9 აპრილის თბილისის მოვლენების შესახებ და ამ სისხლიან ანგარიშსწორებაში პირდაპირ ამხილა საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა.

აკად. თამაზ გამყრელიძე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ეროვნულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო მემკვიდრეობას და ყველაფერს აკეთებდა მის დასაცავად. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელი ჰქვია და ეს მოხდა 1989 წელს! მან ბევრი გააკეთა აკადემიის სამეცნიერო სისტემის შენარჩუნებისათვის და სახელოვანი მეცნიერული სკოლების გადარჩენისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიური სისტემის ხისტი რეორგანიზაციის პერიოდში ბევრს ნიშნავდა მისი პირუთვნელი პუბლიკაციები: „ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილი“ („საქ. რესპ.“, „24 საათი“ და „ლიტ. საქ.“); „მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს“ („საქ. რესპ.“ და „რეზონ.“); „მიმართვა ნიდერლანდების ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიას, ქ. ამსტერდამი; სრულიად ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციის პრეზიდენტს, ბატონ პიტერ დრენთს“ („24 საათი“); “SOS: ინგრევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ქართული მეცნიერება!“ („საქ. რესპ.“ და „რეზონ.“)...

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მოღვაწეობდა, ფიქრობდა და ზრუნავდა ქართული მეცნიერების მომავალზე, მსჯელობდა ქართველოლოგიის შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე; მონაწილეობდა დედა-უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობაში, ქვეყნის კულტურულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; იგი საუკეთესო მაგალითი იყო სულიერი სიმტკიცისა, შემართებისა და ჯანსაღი ცხოვრებისა; მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და კავშირები მნიშვნელოვანი მეგზური იყო ახალი თაობის ქართველ მეცნიერთათვის და ასეთად დარჩება ის მომავალშიც. აკად. თამაზ გამყრელიძე ჭეშმარიტად ღვაწლმოსილი, ვალმოხდილი შეუერთდა ქართული მეცნიერების ბრწყინვალე, მარადიულ თანავარსკვლავედს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

თუ ჩემი ცეცხლი ჩაქრა,
მე კი ნუ შემიცოდებთ,
ისინი შეიცოდეთ,
ვინც იმ ცეცხლთან თბებოდა.

რასულ გამზათოვი

შენ ისევ ჩვენ გვერდით ხარ...

ვიგონებთ გალინა ონიშჩენკო-მეძმარიაშვილს

ღირსეული ადამიანები გარდაცვალების შემდგომ ფიზიკურად მიწას ამოეფარებიან ხოლმე, მაგრამ სულიერად მარადიული ხსოვნის მკვიდრი ბინადარნი ხდებიან და ასე განაგრძობენ სიცოცხლეს.

სწორედ ასეთ ღირსეულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა ჩვენი საყვარელი დედა და ბებია, არაჩვეულებრივი მეუღლე, **გალინა ონიშჩენკო-მეძმარიაშვილი**. იგი ჩინებული ინტელიგენტი, პოეტი, ჟურნალისტი, პროზაიკოსი იყო, რომელმაც უკრაინაში, ქალაქ დონეცკში დაბადებულმა, მთელი თავისი ლამაზი ცხოვრება საქართველოს, ქართულ კულტურას დაუკავშირა, აქ შექმნა დიდი ქართული ოჯახი, სახელოვანი შვილები აღუზარდა საქართველოს და, ამასთანავე, ჭეშმარიტ ხიდად იქცა ქართულ, უკრაინულ და რუსულ კულტურათა შორის.

მის კალამს ეკუთვნის არაერთი ღირსშესანიშნავი წიგნი „ადამიანებს ადამიანებზე“, „სალომე ანდრონიკაშვილი თავისი თაობის ფონზე“, ლექსების კრებულები: „მადლობელი ვარ შთაგონებისთვის“, „სხვადასხვა წლები“, აგრეთვე ფოტოალბომი: „ანასტასია ცვეტაევასთან (მარინა ცვეტაევას და)“, „მისი წყალობით ვარ ცოცხალი“. ამიტომაც დამსახურებულად იყო სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი 1970 წლიდან. დაჯილდოებული იყო ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით.

აქვე გავიხსენებთ იმ მძიმე წლებსაც, როცა სამამულო ომის დროს ევაკუაციაში ოჯახთან ერთად ციმბირში, ქალაქ ჩერემხოვოში ცხოვრობდა. სამხედრო გასაიდუმლოებულ ქარხანაში იმ ბრიგადაში მუშაობდა, რომელიც მეომრებისთვის ხელყუმბარებს (ე.წ. „ლიმონკებს“) ამზადებდა. საომარი იარაღის დამზადებაში უშუალო მონაწილეობისთვის მას მიენიჭა წოდება „ომის ზურგის მუშაკი“. დაჯილდოებულია 7 სამთავრობო მედლით.

როდესაც მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა, დონეცკი ფაშისტთაგან მიწასთან გასწორებული დახვდა. დანგრეული დონეცკის ინდუსტრიის აღსადგენად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებიც გამოჩნდნენ. სწორედ მაშინ დაუკავშირეს ერთმანეთს ბედი უკრაინელმა გოგონამ და ქართველმა სამთო ინჟინერმა ჭაბუკმა.

საცხოვრებლად თბილისში რომ გადმოვიდნენ, მეუღლეს სთხოვა: „შენ კარგად იცნობ თბილისს, შეგიძლია კარგ ადგილზე ამოარჩიო ბინაო. მაგრამ გთხოვ, ამოვირჩიოთ ისეთ ადგილას, ახლოს რომ იქნება შენი ძმის – ლერის და მისი მეუღლის ნინოს სახლთან“. ასეც მოიქცნენ. აღსანიშნავია, რომ ეს სიახლოვე გამოიხატებოდა არა მხოლოდ ტერიტორიულ, არამედ სულიერ სიახლოვეშიც. ნინო, გალინა და ლერი მთელი ცხოვრების მანძილზე ერთმანეთის ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ.

მეძმარიაშვილების თბილისურ სახლში გალინას წყალობით ხშირად იკრიბებოდნენ სხვადასხვა სფეროს შემოქმედი ადამიანები: უნიჭიერესი დოდო ალექსიძე, მშვენიერი მედეა ჯაფარიძე, მედეა ამირანაშვილი, ქართული და რუსული პოეზიის უბადლო მცოდნე ნიტა ტაბიძე – ტიციან ტაბიძის ქალიშვილი, რომელიც მამის ხსოვნას შთამომავლობას უნახავდა, მხატვარი ეთერ ანდრონიკაშვილი – გენიალური დავით კაკაბაძის ქვრივი.

მას შემდეგ, რაც ოჯახი მოსკოვში გადავიდა გალინა მეძმარიაშვილი მოსკოვური შემოქმედებითი ინტელიგენციის წევრი გახდა. ისე როგორც თბილისში, იგი კინემატოგრაფისტთა, თეატრალთა და ლიტერატორთა წრეში ტრიალებდა. მისი პუბლიკაციების უმეტესი ნაწილი მე-20 საუკუნის გამოჩენილ ხელოვანთ ეძღვნება, რომლებსაც პირადად იცნობდა: ოლგა არასევა, ანატოლი პაპანოვი, ვალენტინ პლუჩეკი, ალექსანდრე შირვინდტი, რომენ როლანის რუსი მეუღლე მარინა როლანი, თამარა მაკაროვა – მისი შემოქმედების გმირები არიან.

მეძმარიაშვილების სახლის კარი თბილისშიც და მოსკოვშიც მეგობრებისთვის მუდამ ღია იყო. აქ იკრიბებოდნენ ადამიანები, რომელთა სახელებიც ამშვენებს მე-20 საუკუნის ქართულ და რუსულ კულტურას: რეჟისორები სერგეი გერასიამოვი და თენგიზ აბულაძე, მწერალი ანდრეი ბიტოვი, პოეტი ბელა ახმადულინა, მისი მეუღლე – მხატვარი ბორის მესერერი, პოეტი ევგენი ევტუშენკო, გორკის შვილიშვილი მართა პეშკოვა, მთარგმნელი რიტა რაიტი, ცნობილი რუსი პოეტის, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის ბალმონტის ქალიშვილი ნინა ბალმონტი, დიდოსტატი და მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, შალიაპინის უმცროსი ვაჟი ფიოდორი, მომღერალი ივან კოზლოვსკი, მწერალი სავა მოროზოვი – ცნობილი მეცენატის შვილიშვილი. ამ ადამიანებზე გალინა მეძმარიაშვილი დიდი სიყვარულით წერდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გალინასა და ანასტასია ცვეტაევას მეგობრობა. უკვე მოხუც მეგობარს ყველაფერში გვერდით ედგა და ეხმარებოდა. გალინას მშვენიერმა ფოტოებმა ცვეტაევების ოჯახის და ცვეტაევების მეგობრების მთელი გალერეა შემოგვინახა. მისი უზარმაზარი ძალისხმევით გადარჩა მარინა ცვეტაევას სახლი ბორისოგლებსკის ჩიხში, მისი ფასდაუდებელი დახმარებით კატაევა-ლიტკინამ, სახლ-მუზეუმის მცველმა, შეძლო დიდი რუსი პოეტის მარინა ცვეტაევას სახლის შთამომავლობისთვის გადარჩენა.

ახლად დაარსებულ მუზეუმს მან ცვეტაევების ნაჩუქარი ბევრი პირადი ნივთი და საკუთარი ძვირფასი ფოტოარქივი გადასცა. სიცოცხლის ბოლომდე მუზეუმის ერთგული მეგობარი იყო. ყოველ ახალ წელს მეგობრებს მუზეუმში ქართულ საზეიმო სუფრაზე მასპინძლობდა.

აქვე ფუნქციონირებდა მისი ლიტერატურული სალონი. გალინა მეძმარიაშვილი მართლაც ანდამატივით იზიდავდა მეგობრებს, უყვარდათ და აფასებდნენ, უსაზღვროდ მადლიერნი იყვნენ დახმარებისთვის და იმ სიკეთისთვის, რასაც მუდმივად აფრქვევდა თავის ირგვლივ.

ბევრი, ძალიან ბევრი კეთილი სიტყვის თქმა შეიძლება მის დიდ ქალობაზე, ნიჭიერებაზე, შემოქმედებაზე. მისი ხასიათის ყველა ძვირფასი თვისება პორტრეტზე აღბეჭდა ჩვენმა სახელოვანმა ზურაბ წერეთელმა, რომელიც ასევე მეძმარიაშვილების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო.

უკრაინის შვილსა და ჩინებულ რუსულენოვან მწერალს მეგობრებმა შესაბამისად შეარქვეს – საქართველოს დიდებული რძალი, სრულიად საქართველოს კეთილი დიასახლისი, რომელმაც აურაცხელი უანგარო მეგობარი და მოყვარე შესძინა არა მარტო ჩვენს ოჯახს, არამედ თვით ჩვენს ქვეყანას.

ძვირფასო, საყვარელო, გალოჩკა, შენ ის ადამიანი იყავი, რომელსაც სიკვდილი ვერ ერევა და განაგრძობ სიცოცხლეს, როგორც მართალი შემოქმედი, როგორც სიკეთისა და სიყვარულის მთესველი, როგორც უამრავი ადამიანის უანგარო მეგობარი და მოყვასი, როგორც დაუვიწყარი მეუღლე, დედა და ბებია.

დღეს, 11 თებერვალს, შენი დაბადების დღეა. შენი დატოვებული დიდი ოჯახი, ჩვეულებისამებრ, აღვნიშნავთ ჩვენთვის ამ ძვირფას, მნიშვნელოვან ლამაზ დღეს – შენი დაბადების 95 წლისთავს.

უმძიმესი იყო ეს წლები უშენოდ და, რასაკვირველია, კვლავაც ასე გაგრძელდება, თუმცა შენი ოჯახის წევრების გარდა, იმდენი მადლიერი ადამიანი დატოვე, რომ მათ გულში სამუდამოდ დამკვიდრდი.

ძალიან, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები!

მეუღლე ნოდარი,
შვილები გიორგი, ალექსანდრე;
რძლები ლენა, ნატო;
შვილიშვილები ნატო, ლიზა, ნიკოლოზი, ელენე
მეძმარიაშვილები;
შვილთაშვილები გიორგი, ანა აბაშიძეები.

ქაშუეთში დანთებული სანთლები

დრო კაცობრიობის ულმობელი თანამგზავრია, ყველას გარდაუვალისკენ მიგვაქანებს, წლებთან ერთად სულ უფრო ჩქარა მიჰქრის და არავის ძალუძს მისი შეჩერება. მთავარია, ყოველდღიურობის ქაოსში არ დაგვავიწყდეს უკან მოხედვა და გახსენება, რა იყო წარსულში.

წლებთან ერთად ნათელი ხდება მშობლებთან ურთიერთობის და მათი მოქმედების მნიშვნელობა ხშირად, როცა ჩვენს ცხოვრებაში მშობლების როლის მნიშვნელობას ვაცნობიერებთ, უკვე ძალზე გვიანია და მათ მადლობასაც ვეღარ ვეუბნებით. ჩვენი მშობლები ჩვენგან დაუფასებლები მიდიან ისე, რომ ერთ პატარა სიტყვა „მადლობასაც“ ვერ ვაღირსებთ ხოლმე, მადლობას ყველაფრისთვის...

რამდენი ყოვლისმომცველი და ყველაფრის მპატიებელი სიყვარული ჰქონდათ ჩვენდამი... ცხოვრება თავის ციკლს იმეორებს და ახლა ჩვენ ველით შვილებისგან იმავეს.

თბილისში ყოველ ზამთარს, პირველ თებერვალს, ჩემი მშობლების ქორწინების დღეს, ქაშუეთის ეკლესიაში მივდიოდი. ქვედა სართულზე, რუსულ სამლოცველოში, ორ სანთელს ვანთებდი, შემდეგ ვიწრო კიბით ზედა სართულზე ავდიოდი და ქართულ ტაძარშიც კიდევ ორ სანთელს ვანთებდი... არ ვამტკიცებ, რომ ამას მხოლოდ რელიგიური მოსაზრებით ვაკეთებდი. მინდოდა, მშობლებისთვის გადაუხდელი ვალის სიმძიმე შემემსუბუქებინა.

ეს დღე ყოველთვის მზიანი და ნათელი იყო, ბუნების გამონათება ფრთხილად შემოდიოდა ჩემს გულსა და სულში.

ნელა მივდიოდი თბილისის ქუჩებში და ჩუმად ვიმეორებდი: ნათელი ხსოვნა ჩვენს მშობლებს, ნათელი ხსოვნა!

გალინა ონიშჩენკო-მეძმარიაშვილის წიგნიდან – „ადამიანი ადამიანებზე“

◎ კარატე

არქანია ტოკიოში მედალს უმიზნებს

პანდემიის მიუხედავად, ქართველ კარატისტებს (ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია) ვარჯიშები არ შეუწყვეტიათ — სათანადო რეგულაციების დაცვით ემზადებოდნენ 2021 წლის მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის. მეტიც, შარშან დეკემბერში უნიკალური საერთაშორისო ონლაინ-შეჯიბრებაც მოაწყვეს ახალგაზრდებისთვის კატაში. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში 24 ქვეყნის 800-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, ტურნირისადმი დიდი ინტერესი იმანაც გამოიწვია, რომ მონაწილეებს რეიტინგები ეთვლებოდათ. ეს საინტერესო ასპარეზობა ქართველმა სპორტსმენმა ლუკა ხვედელიანმა მოიგო.

შარშანვე დეკემბრის მიწურულს ფედერაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენიც გამოავლინა. ონლაინ-გამოკითხვაში რამდენიმე ათასი ადამიანი მონაწილეობდა. დიდი უპირატესობით გოგიტა არქანიამ გაიმარჯვა. საგულისხმოა, რომ ქართველი სპორტსმენი მსოფლიოს კარატეს ფედერაციამ თავის წონაში, ანუ (84 კილოში საუკეთესოდ აღიარა. სწორედ ამ წონაშიც გათამაშდება წლეულს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მედლები. გოგიტა სალიცენზიო რეიტინგში მეორეა და იაპონიის საგზური, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს.

— ამ წონაში მხოლოდ 10 სპორტსმენი იბრძოლებს მედლებისთვის, — გვითხრა კახა ბასილიამ. — ჩვენი მიზანი ტოკიოში ოლიმპიური მედლის მოპოვებაა. ვფიქრობ, რომ გოგიტას, რომელიც მსოფლიოს ექს-ჩემპიონია, ამის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს — ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასასვლელად მას ყველა მონაცემი აქვს.

არც ის არის გამორიცხული, რომ ოლიმპიადაზე კარატეში ქართველი მსაჯიც გვყავდეს — ეს არის გოგიტა არქანიას მეუღლე თათია მელუა, რომელიც თავის დროზე წარმატებული სპორტსმენი იყო — მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებული და პრიზიორია. გათხოვებისა და შვილის შეძენის შემდეგ იგი აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, თუმცა, მერე მსაჯობა დაიწყო, კატასა და კუმიტეში მსოფლიოსა და ევროპის ფედერაციების ლიცენზია აიღო,. დღევანდელი რეიტინგით უმაღლესი კატეგორიის 12 ქალ არბიტრს შორისაა და ოლიმპიადაზე მსაჯობის უფლებაც აქვს. იგი ჩვენი ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარეა...

ქართველმა კარატისტებმა დეკემბერ-იანვარში სამი საწვრთნელი შეკრება გაიარეს ბაკურიანში. მარტის დასაწყისში პირველი სალიცენზიო ტურნირია სტამბოლში, რომელშიც სამი ქართველი კარატისტი მოსინჯავს ძალებს: დავით ტყებუჩავა (-60 კგ), ჰენრი ვეკუა (-75 კგ) და გოგიტა არქანია (+84 კგ). სამივე ოლიმპიურ წონებში გამოვა. ასპარეზობის დაწყებამდე ისინი თურქეთის ნაკრებთან ერთად ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან 15 თებერვლიდან, მარტის მიწურულს მაროკოს პრემიერლიგაა, მაისში კი ევროპის ჩემპიონატია დაგეგმილი ხორვატეთში. ამ შეჯიბრებების შემდეგ გამოვლინდება სამ წონაში მსოფლიოს ის 10-10 სპორტსმენი, რომლებიც ტოკიოში გამგზავრების უფლებას მოიპოვებენ.

მაისში თბილისი საქართველოს ღია ტურნირს უმასპინძლებს, რომელშიც მონაწილეობის სურვილი უკვე რამდენიმე ქვეყანამ გამოთქვა. რაც მთავარია, 2024 წელს ჩვენს დედაქალაქში ახალგაზრდა კარატისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ამ სახეობაში მსგავსი დონის ტურნირი რეგიონში პირველად ჩატარდება.

ლექსო ცინცაძე

◎ წყალბურთი

ვინ იქნება სამი რჩეული?

ტოკიოს ოლიმპიადაზე სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებთან ერთად მედლებისთვის წყალბურთელ ვაჟთა 12 ნაკრებიც იბრძოლებს. ცხრა გუნდს (სერბეთი, იტალია, ესპანეთი, აშშ, უნგრეთი, ყაზახეთი, ავსტრალია, სამხრეთი აფრიკა, იაპონია) თამაშებზე გამოსვლის უფლება უკვე განაღდებული აქვს. დარჩენილი სამი საგზურისთვის 14 თებერვლიდან ჰოლანდიურ როტერდამში ოლიმპიურ საკვალიფიკაციო ტურნირზე 12 მაძიებელი დაუპირისპირდება ერთმანეთს. წილისყრით ისინი ორ ჯგუფში გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: საბერძნეთი, მონტენეგრო, ბრაზილია, კანადა, საქართველო, თურქეთი;

B ჯგუფი: გერმანია, რუსეთი, რუმინეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ხორვატეთი.

ქვეჯგუფების ოთხ-ოთხი უძლიერესი პრეტენდენტი მეოთხედფინალიდან განაგრძობს პაექრობებს.

საქართველოს ნაკრები ამ ტურნირისთვის იანვრიდან ახალი მწვრთნელის — სერბი დეიან სტანოიევიჩის ხელმძღვანელობით ემზადება. მიზანი საუკეთესო სამეულში მოხვედრაა.

A ჯგუფის შეხვედრათა გრაფიკი ასეთია:

14 თებერვალი. საბერძნეთი — **საქართველო**, კანადა — ბრაზილია, თურქეთი — მონტენეგრო;

15 თებერვალი. საბერძნეთი — ბრაზილია, მონტენეგრო — კანადა, **საქართველო** — თურქეთი;

16 თებერვალი. ბრაზილია — მონტენეგრო, თურქეთი — საბერძნეთი, კანადა — **საქართველო;**

17 თებერვალი. საბერძნეთი — მონტენეგრო, **საქართველო** — ბრაზილია, თურქეთი — კანადა;

18 თებერვალი. მონტენეგრო — **საქართველო,** კანადა — საბერძნეთი, ბრაზილია — თურქეთი;

19 თებერვალი. მეოთხედფინალები. 1A — 4B, 2A — 3B, 3A — 2B, 4A — 1B;

20 და 21 თებერვალს ნახევარფინალები და ფინალები გაიმართება.

ლაშა დიდია

◎ დღეს ფინალია

დაირღვევა ტრადიცია?

როგორც წესი, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული ტურნირების — ჩემპიონთა ლიგისა და ლიბერტადორესის თასის გამარჯვებულები იგებენ, მაგრამ დღეს შესაძლებელია ეს ტრადიცია დაირღვეს, რადგან ყატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარე ფორუმის ერთ-ერთი ფინალისტი კონკაკაფის ზონის საუკეთესო კლუბი „ტიგრესი“ გახლავთ.

მექსიკელებმა ნახევარფინალში სენსაციური მარცხი აგემეს ბრაზილიურ „პალმეირასს“ — 1:0, თუმცა, ვინც ამ თამაშს უყურა, მათ წარმატებას სავსებით ლოგიკურად მიიჩნევს, რადგან მრისხანე მეტოქეს არაფერი დაუთმეს.

რაც შეეხება მეორე ფინალისტს, ესაა მიუნხენის „ბაიერნი“, რომელიც სეზონის მეექვსე ტიტულისთვის იბრძვის. ამჯერად ბავარიელებმა ლევანდოვსკის დუბლით ეგვიპტური „ალ აჰლი“ დაამარცხეს — 2:0. შთამბეჭდავია პოლონელი ბომბარდირის პირადი მონაგარიც — მან სეზონში უკვე 29 გოლი გაიტანა.

გიორგი ზოთაძე

◎ კონტრაქტი

კვლავ 40 მილიონი

ლუის ჰემილტონს „მერსედესთან“ მოქმედი კონტრაქტი წლის ბოლოს ეწურება, ამიტომ აქტუალურად მიიჩნეოდა მისი გახანგრძლივების საკითხი.

და აი, როგორც ინტერნეტ-გამოცემა ფ. 1 ინსაიდერ. კომ იუწყება, მხარეებმა კომპრომისს მიაღწიეს და ახალ ხელშეკრულებას კიდევ ერთი წლით გააფორმებენ.

გაცხადდა აგრეთვე, რომ ფორმულა 1-ში მსოფლიოს 7-გზის ჩემპიონს თანაგუნდელის არჩევისას ხმის უფლება ექნება, და, რაც მთავარია, სეზონში ისევ 40 მილიონს მიიღებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დანაკარგი

კიბოსთან ბრძოლაში...

26 მოგება, 17 მარცხი და 3 ფრე — ასეთი მონაგარით დატოვა პროფესიული რინგი 1995 წელს ლეონ სფინქსმა.

სამწუხაროდ, ულმობელ კიბოსთან ბრძოლაში 68 წლის ამერიკელი მოკრივე წუთისოფელსაც გამოეთხოვა.

მან სპორტულ სამყაროში სახელი ლეგენდარულ მუჰამედ ალისთან 1978 წელს მოპოვებული სენსაციური გამარჯვებით გაითქვა. მართალია, მალევე მრისხანე მეტოქემ რევანში აიღო, მაგრამ ამით სფინქსის დიდებას ბევრი არაფერი დაკლებია.

კობა კობახიძე

თინა ჯღამაძე

კიდევ ერთმა სამშობლოსათვის, საქმისათვის გულანთებულმა, უაღრესად წიგნიერმა საზოგადო მოღვაწემ დატოვა ეს სამზეო და გადაინაცვლა მარადისობაში.

გარდაიცვალა დამსახურებული და აღიარებული პიროვნება, ქალბატონი თინა ჯღამაძე, რომელმაც თავისი საქმიანობით, ერთგულებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხითა და ნაყოფიერი მოღვაწეობით მოიპოვა საუკეთესო ავტორიტეტი.

ქალბატონმა თინამ იცხოვრა სამაგალითოდ. გარეგნობითა და სულიერი სილამაზით შემკულმა ადამიანმა ისე მიაღწია 84 წლის მიჯნას, არც ცნობიერება და არც აქტიური ცხოვრების წესი არ შეუცვლია. მან ცხოვრების შინაარსიანი, წარმატებული გზა განვლო. უაღრესად ნიჭიერმა ახალგაზრდამ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისთანავე სწორად გაიაზრა თავისი მოქალაქეობრივი მისია და მთელი პასუხისმგებლობით შეუდგა მოღვაწეობას. მისი ასაკისათვის იმჟამად მეტად სერიოზულ საჯარო სფეროში სრულიად ახალგაზრდამ იტვირთა მეტად მნიშვნელოვან თანამდებობებზე პასუხისმგებლობა. მისი დიდი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა ერთ წერილში შეუძლებელია თავისი მასშტაბურობიდან გამომდინარე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თვით პიროვნების სასახელო ბიოგრაფია ამბობს სათქმელს, რომელიც ნიმუშად გამოადგებათ თაობებს.

ქ. ზუგდიდის ქალთა სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობის ხელმძღვანელ თანამედებობაზე ქალის გამოჩენამ დიდი ინტერესი და მოწონება გამოიწვია. კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად არჩევისთანავე იგი გაიგზავნა ქ. მოსკოვის უმაღლეს სკოლაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მთელი ენერგიით შეუდგა ურთულეს მისიას ახალგაზრდობის ხელმძღვანელად. თანდაყოლილი ნიჭით დაჯილდოებულმა გამოავლინა ლიდერის პირუთვნელი თვისებები. ძლიერსა და შეუპოვარს ყოველთვის ჰქონდა თანამდებობის პირებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერა, მათ სჯეროდათ მისი და მიჰყვებოდნენ მას.

პრინციპული მუშაობის შედეგად მისი ხელმძღვანელობით ზუგდიდის კომკავშირის რაიკომის მუშაობა სამაგალითო გახდა რესპუბლიკის მასშტაბით.

სულ მალე, 29 წლის ასაკში, აწინაურებენ ზუგდიდის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც იმუშავა 25 წლის განმავლობაში და მისი სანიმუშო მუშაობა განზოგადდა საკავშირო მასშტაბით.

მეტად საინტერესო პიროვნება გახლდათ ქალბატონი თინა როგორც საზოგადო მოღვაწე, ასევე პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა ქვეყნის, ხალხის კეთილმსახურებას. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საქმე. ამ დიდებული ქალბატონისათვის უმცირესიც კი მნიშვნელოვანი გახლდათ. იგი ყოველთვის მზად იყო, გვერდით დადგომოდა მათ, ვისაც მისი თანადგომა და დახმარება სჭირდებოდა. იყო ლამაზად მეტყველი, მოაზროვნე, ინოვატორი. არ ჩვეოდა თვით ურთულეს სიტუაციებშიც კი უკან დახევა, იყო პირდაპირი და სამართლიანი, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ. სამოქალაქო ცხოვრებაშიც ქალბატონი თინა იყო სამაგალითო, მეგობრების, ნათესავებისა და მეზობლების საიმედო საყრდენი.

ზუგდიდის საზოგადოება დიდი პატივით აცილებს ქვეყნის, ხალხის წინაშე ვალმოხდილ დიდ ქალბატონს მარადისობისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც უკვე წლებია, დავანებულია დიდი ქართველის, ზუგდიდის სასახელო შვილის, ყველა თაობისათვის უსაყვარელესი პიროვნების, ქალბატონი თინა ჯღამაძის მეუღლისა და თანამებრძოლის ბატონი ჯონი ჟვანიას სპეტაკი სული.

ქალბატონმა თინამ კეთილ საქმეებთან ერთად სამშობლოს დაუტოვა სამაგალითო შთამომავლობა უაღრესად განსწავლული შვილებისა და შვილიშვილების სახით, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ ესწრებიან საყვარელი დედისა და ბებიის დაკრძალვას საზღვარგარეთ ყოფნის გამო.

დაბოლოს, ქალბატონი თინას გარდაცვალება ჩვენი საერთო ტკივილია, იგი ყველა ვითარებაში ყველგან და ყოველთვის იყო უღალატო, საიმედო, ერთგული მეგობარი და ახლობელი.

ქალბატონო თინა, მშვიდობით, უფალს ებარებოდეთ!

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, გურამ გუნავა, იგორ ქობალია, იური გუგუჩია, ვალერი ჭანტურია, ლერი და ოთარ ჭითანავები, თენგიზ შანავა, გურამ ფიფია, თამაზ ცანავა, მურმან ნაჭყებია, კარლო ვეკუა, გივი სოსელია, გული აგუმავა, ვაჟა ფიფია

შვილები თამრიკო, ლევან ჟვანიები, რძალი გურანდა გუნავა; შვილიშვილები, ნანა, ლევანი, გიორგი, ირაკლი; დისწულები: ნონა, კახა დარასელიები; მძახალი გურამ გუნავა, თორნიკე გუნავა; დეიდაშვილები გია და ბესო ღვინჯილიები; მაზლისშვილები და ოჯახის ახლო ნათესავები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

თინა ხარიტონის ასული ჯღამაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 11 , 12/I I, დაკრძალვა 13/I I, ზუგდიდი, თავისუფლების ქ. №2. გამოსვენება 15 სთ.

უახლოესი მეგობრები და ყოფილი კოლეგები გულიკო დემურია, როზა ჭითანავა, ნათელა ფიფია, ციური თორდია, ირინე ჯიქია, ბონდო ჯიქია, გურამ გუნავა, იგორ ქობალია, ოთარ ჭითანავა, გურამ ფიფია, ვაჟა ფიფია, ლერი ჭითანავა, ნუგზარ მოლაშხია, თენგიზ შანავა, მურთაზ ბოკუჩავა, გივი სოსელია, მურმან ნაჭყებია, რევაზ არდია, მამუკა ქობალია, გიორგი ყუფუნია ღრმა მწუხარებით იუწყებიან სახელმწიფო მოღვაწის, მრავალი თაობის აღმზრდელის, უკეთილშობილესი ქალბატონისა და დიდი პროფესიონალის, მზრუნველი დედისა და ბებიის

თინა ჯღამაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და სანათესაოს.

აუკრძალავს თუ არა თბილისი რუსულ „ბიბლიო გლობუსს“ საქართველოში მუშაობას?

რუსეთის უმსხვილესმა ტურისტულმა კომპანია „ბიბლიო გლობუსმა“, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე — აფხაზეთში, კოტეჯური ტიპის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო. ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ტამიშში, 12,5 ჰექტარ ტერიტორიაზე, რომელიც ზღვის სანაპიროსაც მოიცავს, მრავალფუნქციურ სივრცეში, 150 თანამედროვე ტიპის კოტეჯი შენდება.

„ბიბლიო გლობუსის“ მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის მშენებლობის ადგილი სოფელ ტამიშში

ტამიშში მშენებარე „ბიბლიო გლობუსის“ კომპლექსის მაკეტი

ჯამური ინვესტიცია კი 350 მილიონი რუსული რუბლი, დაახლოებით, 4,7 მილიონი აშშ დოლარია. მშენებლობას ასევე რუსული კომპანია „მოდულ-ა“ აწარმოებს.

ტამიში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის ასლან ბჟანიას მშობლიური სოფელია. აფხაზური წყაროების ცნობით, მიწა, რომელზეც მშენებლობა მიმდინარეობს, „25-წლიანი არენდით“, ანკლავში „რეგისტრირებულ“ შპს „ოქროს საწმისი 2020“-ს გადაეცა, რომლის უკან ბჟანიას ოჯახი და გარემოცვა დგას.

უკანონო მშენებლობაში ბჟანიას პარტნიორი „ბიბლიო გლობუსის“ მეპატრონე, მულტიმილიონერი ალექსანდრ ტუგოლუკოვია. ბჟანიაც და ტუგოლუკოვიც გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (კგბ) უმაღლეს სკოლაში სწავლობდნენ. ტუგოლუკოვმა, რომელიც კრემლთან დაახლოებული ბიზნესმენია, ანალოგიური ტურისტული ობიექტი — Olenevka Village, 2019 წელს, ოკუპირებულ ყირიმში გახსნა.

იანვრის მეორე ნახევარში ბჟანიამ და ტუგოლუკოვმა ოკუპირებულ სოფელ ტამიშში მასშტაბურ მშენებლობას თავად ჩაუყარეს საფუძველი.

„ამერიკის ხმამ“ შერიგებისა და საოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილ სახელმწიფო მინისტრს პაატა ზაქარეიშვილს ჰკითხა, აქვს თუ არა ოფიციალურ თბილისს რეალური ბერკეტები, რეაგირება მოახდინოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის უხეშ დარღვევაზე?

„თუ ეს რუსული კომპანია, რომელმაც სოფელ ტამიშში, უკანონოდ, ტურისტული ობიექტის მშენებლობა დაიწყო, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც მუშაობს, მას უნდა აეკრძალოს აქ საქმიანობა და დაუწესდეს სანქციები.

ჩვენი კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ პირდაპირ ამბობს, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში აკრძალულია ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, შესაბამისად „ბიბლიო გლობუსმა“ შეგნებულად დაარღვია ეს კანონი, შეუძლებელია მათ არ სცოდნოდათ ამ შეზღუდვის შესახებ“ — გვითხრა პაატა ზაქარეიშვილმა.

რუსული ტურისტული კომპანია „ბიბლიო გლობუსი“ არა მხოლოდ მუშაობს საქართველოს ბაზარზე, როგორც „ამერიკის ხმამ“ გაარკვია, ახალი კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე, ანუ 2019 წლის ჩათვლით, რუსეთიდან საქართველოში ტურისტული ნაკადის დაახლოებით, 50% სწორედ „ბიბლიო გლობუსზე“ მოდიოდა.

პამდემიის დაწყებამდე, „ბიბლიო გლობუსი“ არაერთ ქართულ ტურისტულ კომპანიასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. ერთ-ერთი Voyage Tours Georgia იყო, ამ კომპანიის წარმოადგენელს მარიამ როჭიკაშვილს ვკითხეთ, ხომ არ იმოქმედებს მათ თანამშრომლობაზე „ბიბლიო გლობუსის“ შესვლა ოკუპირებულ აფხაზეთში?

„მე არ ვიცოდი ამის შესახებ, რომ „ბიბლიო გლობუსი“ აფხაზეთში შევიდა. პანდემიამდე ის იყო ჩვენი ერთ-ერთი მსხვილი პარტნიორი. როცა ვთანამშრომლობდით მათ არ ჰქონდათ ე.წ „აფხაზეთის მიმართულება“. ნამდვილად გამიჭირდება ახლა კომენტარის გაკეთება, ერთი მხრივ, საქმე ეხება აფხაზეთს, მეორე მხრივ, ბიზნესს, რომელიც არაერთ სამუშაო ადგილს ქმნის და პანდემიის გამო ისედაც რთულ სიტუაციაში.

ამასთან მხოლოდ ჩვენ არ ვართ საქართველოში „ბიბლიო გლობუსის“ პარტნიორები, ძალიან ბევრი ტურისტული კომპანია თანამშრომლობს მათთან. დაველოდებით, სახელმწიფოს გადაწყვეტილებას, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ,“ — გვითხრა მარიამ როჭიკაშვილმა.

„ამერიკის ხმის“ მცდელობა ამ თემაზე სახელმწიფო უწყებებიდან კომენტარი მიგვეღო, უშედეგო აღმოჩნდა. „ბიბლიო გლობუსმა“ კი ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით ტურების გაყიდვა უკვე დაიწყო. სხვადასხვა პაკეტების ფასი 200 ლარიდან იწყება და 1500 ლარამდე აღწევს.

თებერვლის დასაწყისში სეპარატისტების წარმომადგენელი თემურ ხიშბა, რომელიც ანკლავში ტურიზმს კურირებს, მოსკოვში, რუსეთის ფედერალურ სააგენტო „როსტურიზმის“ ხელმძღვანელს ზარინა დოგუზოვას შეხვდა, რომელიც ოკუპირებულ ცხინვალშია დაბადებული.

„როსტურიზმმა“ ანკლავთან მემორანდუმი გააფორმა, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „აფხაზეთი რუსი ტურისტების ნებისმიერი ნაკადის მისაღებად მზად არის და 7 თვეში, სოფელ ტამიშში მშენებარე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსიც გაიხსნება“. 2021 წელს ოკუპირებულ ანკლავში 1 მილიონზე მეტი რუსი ტურისტის მიღებას მოელიან.

ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲛᲝᲘᲠᲒᲝ

ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲚᲘ ილონ მასკის დედა მეი მასკი 71 წლის ასაკში არაჩვეულებრივად გამოიყურება. იგი ცნობილი დიეტოლოგი და მოდელია. მას აგრეთვე გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი.

მისი წიგნები ძირითადად ავტობიოგრაფიულია. მეი მოგვითხრობს იმ რთული ცხოვრების გზაზე, რომელიც განქორწინების შემდეგ სამი შვილით მარტო დარჩენილს მოუწია.

ჩვენი ყურადღება მისმა ბოლო ინსტაგრამზე განთავსებულმა სურათმა მიიპყრო, სადაც იგი თავს ქართველი წარმატებული დიზაინერის ანუკი არეშიძის ულამაზეს, ატმისყვავილისფერ კაბაში იწონებს თავს.

როგორც ჩანს, მეი მასკი ქართველებს ძალიან სწყალობს, რადგანაც ცოტა ხნის წინ დაანონსდა, რომ მისი ახალი წიგნისთვის იგი გამომცემლობას სწორედ საქართველოში ეძებდა.

ᲛᲘᲨᲔᲚ ᲝᲑᲐᲛᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲕᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ყოფილი პირველი ლედი მიშელ ობამა „ Netflix“ ტელეარხზე საბავშვო გადაცემას გაუძღვება. ეს ინფორმაცია მან საკუთარ „ტვიტერზე“ განათავსა.

პირველი გადაცემა 16 მარტს გავა ეთერში. ეს იქნება კულინარიული შოუ მშობლებისა და ბავშვებისთვის. სადაც პირველი ლედი მოამზადებს სასარგებლო და გემრიელ საკვებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოებში მზადდება.

„იმედია, ჩვენს საინტერესო მოგზაურობას კულინარიის სამყაროში ბავშვები მთელი მსოფლიოს მასშტაბითს შემოუერთდებიან“ — აცხადებს მიშელ ობამა.

„ᲙᲐᲛᲞ-ᲜᲝᲣ“ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲡ

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲘᲡ ხელისუფლებამ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პოპულარიზაციისთვის უცნაური ხერხი მოიფიქრა. მათ გადაწყვიტეს, რომ ბარსელონას ღირსშესანიშნავი ადგილები გამოიყენონ ადამიანებში მოტივაციის ასამაღლებლად.

უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ სტადიონის კამპ-ნოუს“ წარმომადგენლებთან. ეს საკითხი საბოლოოდ მარტის დასაწყისისთვის დადებითად გადაწყდება.



კატალონიის ხელისუფლება გარდა სტადიონისა, აგრეთვე ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობის „საგრადა — ფამილიას“ ბაზილიკური ტაძრის ადგილსაც განიხილავს.

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრდეს პანდემია და ცხოვრება ჩვეულ რითმს დაუბრუნდეს — აცხადებს კატალონიის მთავრობა.

ᲛᲔᲡᲘ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ისტორიის და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ საკუთარ ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე ბოლო ათწლეულის 10 საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა.

სიას სათავეში უდგას არგენტინელი თავდამსხმელი ლეონელ მესი. მეორე ადგილი პორტუგალიის ნაკრების ფორვარდს კრიშტიანუ რონალდუს მიაკუთვნეს.

საპატიო სიაში აგრეთვე არიან ესპანელი ანდრეს ინიესტა, ბრაზილიელი ნეიმარი და „მადრიდის რეალის“ მცველი სერხიო რამოსი. ათწლეულის ფეხბურთელები მსოფლიოს 150 ქვეყნის წარმომადგენლებმა დაასახელეს.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ქალაქ ლანკაშირში ბრმა კატა სახელად დექსტერი პატრონს 11-წლიანი ხეტიალის შემდეგ დაუბრუნდა.

2010 წელს ჯულია გიბონსმა თავშესაფრიდან 5 წლის დექსტერი აიყვანა, 4 კვირის შემდეგ კი დექსტერი ეზოს ღობეზე გადაძვრა და გაიქცა. რამდენიმედღიანი ძებნის მიუხედავად ქალმა კატა ვერ იპოვა, თუმცა იმედს არ კარგავდა, რომ დაჩიპული კატა კეთილი ადამიანების ხელში აღმოჩნდებოდა და ისინი დექსტერს სახლში დააბრუნებდნენ.

2021 წელს ჯულიას ვეტერინარული კლინიკიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ მისი კატა იპოვეს.

„ეს უბრალოდ წარმოუდგენელია — მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენი სახლიდან 1,5 კილომეტრში იყო — ასე ახლოს და ასე შორს“, — აცხადებს ჯულია გიბონსი. იმის შესახებ, რომ კატა დაბრმავდა, ქალმა მხოლოდ ვეტერინალურ კლინიკაში გაიგო.

3D-ᲞᲠᲘᲜᲢᲔᲠᲖᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ კომპანია SQ4D ქვეყანაში პირველად 3D-პრინტერზე დაბეჭდილ სახლს ყიდის. სახლი ნიუ-იორკის შტატში, ქალაქ რივერხერდში დგას. მისი ფართობი 140 კვადრატული მეტრია და ფარეხიც აქვს. სახლის ღირებულება 299 999 დოლარია.

სახლში 3 საძინებელი და 2 აბაზანაა. მწარმოებლის თქმით, ობიექტი 2021 წელს,ბეტონისგან აშენდა. მას, ისევე როგორც კომპანიის ყველა 3D-ობიექტს 50-წლიანი გარანტია აქვს.

ამასთან, კომპანიაში აღნიშნავენ, რომ მათი ტექნოლოგია უსახლკაროების პრობლემას მოაგვარებს და დახმარებას გაუწევს ქვეყნებს სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის დროს. ამ ტექნოლოგიის გამოყენება ტრადიციულ მშენებლობაზე 50%-ით იაფი და ათჯერ სწრაფია.

ᲨᲐᲕᲘ ᲧᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲦᲔᲨᲘ ერთი ან მეტი ჭიქა შავი ყავის მოხმარება გულის უკმარისობის რისკს ამცირებს.

ასეთ დასკვნამდე ამერიკის გულის ასოციაცია 3 მასშტაბური კვლევის შედეგის შეჯამების შემდეგ მივიდა. კვლევებში სულ 21 ათასი ამერიკელი მონაწილეობდა. ერთ-ერთი კვლევა 72 წლის განმავლობაში ტარდებოდა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყავის მსმელებს შორის გულის უკმარისობის რისკი 5-დან 12%-მდე ნაკლებია იმ ადამიანებთან შედარებით, ვინც ყავას არ სვამს. თუ ადამიანი დღეში 2 ჭიქა ყავას მიირთმევს, ეს მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სარგებელი მხოლოდ შავ, უშაქრო ყავას მოაქვს, ყოველგვარი დანამატის გარეშე. ამასთან, გულის უკმარისობის რისკს არც უკოფეინო ყავა ამცირებს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ კვლევის შედეგები მათთვის გასაკვირი აღმოჩნდა.

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ-ᲙᲐᲢᲐ...



ᲢᲔᲮᲐᲡᲨᲘ ვირტუალურ სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი ადვოკატი შემთხვევით კატის ვირტუალურ ნიღაბში წარდგა. ინციდენტი ვიდეოკონფერენციების სერვის „ზუმის“ შეხვედრაზე მოხდა.

ადვოკატმა როდ პონტონმა სასამართლო პროცესზე დამსწრე პირებს ბოდიში მოუხდა და განაცხადა, რომ მისი თანაშემწე შეეცდება გათიშოს ფილტრი, რომლის გამოც ის კატის ფორმაშია.

„მე აქ ვარ და ნამდვილად არ ვარ კატა“, — ამბობს ინციდეტის ამსახველ ვიდეოში ადვოკატი.

ადვოკატმა თავად გაავრცელა ვიდეო სოციალურ ქსელებში და მოუწოდა მომხმარებლებს, სერიოზულ ვირტუალურ კონფერენციაზე ან შეხვედრაზე დასწრებამდე გადაამოწმონ „ზუმის“ პარამეტრები, განსაკუთრებით მაშინ, თუ მანამდე კომპიუტერით ბავშვებმა ისარგებლეს.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
Ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲦᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲡ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 15 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.3161; ᲔᲕᲠᲝ - 4.0158;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.5679;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4784; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.4671;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.9486;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3284.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+2,	ᲓᲦᲔ	+20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-1,	ᲓᲦᲔ	+16
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+6	ᲓᲦᲔ	+20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0,	ᲓᲦᲔ	+15
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+6,	ᲓᲦᲔ	+18

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝ�გᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge